პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 288 (19729) ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 1986 წ. ◆ ფასი 8 კაპ.

ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად მოგესალმებათ თქვენ, ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის მონაწილეებს.

თქვენი კონფერენცია იმართება ღირსშესანიშნავი მოვლენის — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ. დიდია საბჭოთა ხალხის მადლიერება თავისი ვეტერანებისადმი. მისი სიამაყე და დიდება სამართლიანად არიან რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანები. ისინი უტევდნენ თვითმპყრობელობას, იბრძოდნენ საბჭოების ხელისუფლებისათვის, მტრებთან სასტიკ ბრძოლებში დაიცვეს სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. დაუვიწყარია ზურგის, პირველი და ომისშემდგომი ხუთწლედების შრომელთა — იმათი გმირობა, ვინც ქვეყანას აღადგენდა ნანგრევებიდან და თავდადებული შრომით განამტკიცებდა მის ძლიერებას. ძველ თაობათა საქმეებთან დაკავშირებულია დიდი წარმატებანი ეკონომიკაში, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში, მეცნიერებასა და კულტურაში. ვეტერანთა საბრძოლო გმირობა და შრომითი მიღწევები საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულების უშრეტი წყაროა, ვაჟკაცობის, შრომისმოყვარეობის, დისციპლინისა და გამარჯვებისადმი სწრაფვის მაგალითია.

ახლა, როცა მიმდინარეობს საბჭოთა საზოგადოების ყველა მხარის ღრმა გარდაქმნის პროცესი, ვეტერანები მწყობრში რიგებიან. სადაც უნდა იყვნენ ისინი: საწარმოო კოლექტივებში, შეიარაღებულ ძალებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, დამსახურებულ პენსიაზე თუ ოჯახში — ყველგან თავიანთ ძალებს, ცოდნასა და უმდიდრეს გამოცდილებას ანმარენ სამშობლოს შემდგომ აყვავებას. პარტია დიდად აფასებს იმას, რომ ვეტერანები ერთსულოვნად უჭერენ ხელს მას ნოვატორულ ღონისძიებებს, რომ დაჩქარდეს ეკონომიკური პროგრესი. ისინი საერთო-სახალხო ბრძოლაში სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

ჩვენს ცხოვრებაში ვეტერანები საყოველთაო-სახალხო ყურადღებით არიან გარემოსილი. ზრუნვა უფროსი თაობისათვის საბჭოთა საზოგადოების მაღალი ზნეობრივი ვალია, თითოეული შრომითი კოლექტივის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა.

ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის წინაშე დგას კეთილშობილური ამოცანა — ხელი შეუწყოს ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, აბალგაზრდობის ზნეობრივ, შრომითსა და სამხედრო პატრიოტულ აღზრდაში ვეტერანთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას. ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ვეტერანთა საზოგადოებრიობას ვეტერანთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვისაც, მათი დასვენებისა და ცოცხალი ურთიერთობის შოგვარებისთვისაც. ეჭვი არ არის, რომ ვეტერანთა ორგანიზაცია ღირსეულ წვლილს შეიტანს მშვიდობის განმტკიცებაში, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში. მისი შექმნა კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას.

სკკ ცენტრალური კომიტეტი კონფერენციის მონაწილეებს უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამს რწმენას, რომ ვეტერანები განაგრძობენ რა სახელოვან ტრადიციებს, კვლავაც იქნებიან პარტიის საიმედო თანაშემწენი კომუნისტურ მშენებლობაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, მხნეობას და დიდ წარმატებებს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

„საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი – 90“

სახალხო მეურნეობის გადაყვანა განვითარების ინტენსიურ გზაზე მეფდროდ არის დაკანონებული რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მთელი მუშაობის შემდგომ გარდაქმნასთან. დღეს ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ სოციალისტური მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდები, რაციონალურად არ შეგახამეთ მართვის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპები, არ ავამოქმედეთ მთელი გამოუყენებელი რეზერვები. ყველა ამ მოთხოვნას შეიძლება შეესაბამებოდეს მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო გამოყენების ბაზაზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი კომპლექსური ხელმძღვანელობის მთლიანი, მოქნილი სისტემა. ამ ამოცანის გათვალისწინებით რესპუბლიკაში მიმდინარეობს „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ კომპლექსური პროგრამის შემუშავება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მორიგმა სხდომამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მისი შემუშავება.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის საქმეში. განვითარდა მეცნიერების მართვისა და პრაქტიკაში მისი მიღწევების დანერგვის რესპუბლიკური სისტემა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭოს გარდა პარტიის რაიონულ, საქალაქო და სოფლურ კომიტეტებთან შექმნილია ანალოგიური საბჭოები, რომლებმაც საგრძნობლად გამოაცოცხლეს პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. დაზუსტებული და მკაფიოდ განსაზღვრულია რესპუბლიკის სახელმწიფო საეგმო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სახმწენისა და სახაგრომრეწვის ამოცანები და ფუნქციები ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების საკითხებში. გაკეთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა საქმიანობა იმისათვის, რომ გაიზარდოს კვლევის ეფექტიანობა, მიეახლოვდეს იგი სახალხო მეურნეობის აქტიურ პრობლემებს. გაფართოდა და გაუმჯობესდა კვლევით, საპროექტო და დასანერგ სამუშაოთა პროგრამიან-მიზნობრივი ორგანიზაციის პრაქტიკა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის რეალიზაციის გზით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შარშან თითქმის ერთიორად და მეტად გადააჭარბა მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამ გზით მიღებულია შრომის ნაყოფიერების 75-პროცენტიანი მატება. ხელის შრომის ხვედრითი წილი მთლიანად სახალხო მეურნეობაში 12 პროცენტითა და მეტად შემცირდა.

ამავე დროს საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოების ახლანდელი ტექნიკური დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული შედარებითი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩამორჩენის ტენდენცია რესპუბლიკის საწარმოო აპარატის განვითარებაში. შრომის ფონდაღჭურვილობამ საქართველოს სახალხო მეურნეობაში საერთო-საკავშირო მაჩვენებლის მხოლოდ 5 აროცენტი შეადგინა. რესპუბლიკის ინდუსტრიაში მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებელი — 32 პროცენტი 38,6 პროცენტის ნაცვლად. განსაკუთრებით ცოტაა საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყო, რაც მოწმობს წარმოების ავტომატიზაციის დონის ჩამორჩენას. მთლიანად არ არის გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უკუგების გადიდების რეზერვები. თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება მეცნიერების ექსპერიმენტული ბაზის განვითარების დონე, ერთი მეცნიერი მუშაკის ფონდაღჭურვილობა სამჯერ ნაკლებია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში.

მოისმინა რა ინფორმაცია „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ პროექტის შემუშავების მიმდინარეობის შესახებ, საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასში განსაზღვრულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებანი, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს მთელი ძალები და საშსრები. დაჩქარება და მათი პრიორიტეტული განვითარება იქნება რესპუბლიკის საწარმოო ძალებისა და სოციალური განვითარების თვისებრივი გარდაქმნის განმსაზღვრელი ფაქტორი.

„საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ კომპლექსური პროგრამა „კადრებისა“ და „დისციპლინის“ რესპუბლიკური პროგრამებთან ერთად მიზნად ისახავს მყარი წანამძღვრების შექმნასა და ღრმა თვისებრივი გარდაქმნის შემდგომ განხორციელებას რესპუბლიკის საწარმოო ძალებში. იგი შეიცავს წინათ შემუშავებული მიზნობრივი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური პროგრამების ყველა ძირითად დავალებას. მას საფუძვლად უდევს სამი ურთიერთდაკავშირებული ბლოკი — „მეცნიერება“, „ტექნიკა“, „ხარისხი“, რომელთა საბოლოო მიზანია დაგეგმვისა და მართვის, თვისებრივად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების მრავალსტადიანი პროცესის ოპტიმიზაცია.

საკოორდინაციო საბჭომ, ძირითადად მოიწონა რა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ პროგრამის პროექტის შედგენისათვის გაწეული მუშაობა, აღნიშნა, რომ ჯერჯერობით გავლილია მრავალმხრივი ცვლების მხოლოდ პირველი ეტაპი. ითქვა, რომ ასეთი რთული პროგრამის შემუშავების დროს საჭიროა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მთავარი მიმართულებანი, არ გადაიტვირთოს იგი სხვადასხვა მეორეხარისხოვანი საკითხით. ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პროგრამა უნდა იყოს აქტუალური მრავალი წლისათვის და საჭიროების შემთხვევაში შეივსოს პერსპექტიული მიმართულებებით.

კერძოდ, სხდომაზე გამოითქვა სურვილი, რომ პროგრამაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი აკადემიური, უმაღლესი სასწავლებლისა და დარგობრივი მეცნიერება. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფუნდამენტურ გამოკვლევებთან ერთად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მეცნიერების იმ დარგების განვითარებას, რომლებსაც პრაქტიკული უკუგება აქვთ. საბჭოზე აღინიშნა, რომ პროგრამის განყოფილებები და დებულებები უკვე ახლა შეიძლება კორექტირებულ იქნეს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევათა გათვალისწინებით.

ამავე დროს საბჭომ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ მეურნეობრიობის ახალ პირობებში სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების, დიდ გაერთიანებებსა და საწარმოებში სახელმწიფო მიღების შემოღების საკითხები, აგრეთვე უფრო სრულად გავითვალისწინოთ აქტიური რესურსდამზოგავი პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს, სამინისტროებსა და უწყებებს დაეგალათ საბჭოზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით შეავსონ და დაზუსტონ „კომპლექსური პროგრამა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. მგელაძე, ნ. ა. ჭითანავა.

(საქინფორმი).

ქაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ალმა-ათა, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა დ. ა. კუნაევი გათავისუფლა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი გ. ვ. კოლბინი, რომელიც პარტიის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ენის სიწმინდისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმეა

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომა. განიხილეს თანამედროვე სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის აქტუალური საკითხები, დაამტკიცეს, კერძოდ, სპეციალისტთა მიერ შემუშავებული სიტყვის გადატანის, თანდებულთა და კავშირთა ხმარების, რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერისა და ქართული ენის ნორმატიულ კრებულთა გამოცემის საკითხები.

საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ქ. ლომთათიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი პროფესორი ზ. ჭუმბურიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი შ. ძიძიგური, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი აკადემიკოსი გ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი შ. აფრიდონიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რიგვავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ჩხიკვიშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი მ. ჭაბაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური და სხვები.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამ კომისიის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდე, ენის ნორმათა დაცვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი გახდა. 1921 წელს განათლების კომისარიატმა გამოაქვეყნა პროექტი დადგენილებისა „სალიტერატურო ქართული ენისათვის“, რომელიც ეროვნული ენათმეცნიერების სადავო საკითხთა მოწესრიგების პირველი ცდა იყო. შეიქმნა ენისა და ტერმინოლოგიის კომისია, რომელმაც გარკვეული მუშაობა გაწია და უკვე ოცდაათიან წლებში ზედიზედ გამოუშვა კრებულები „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“ და „ქართული სალიტერატურო ენის ნორმატივები“.

ზრუნვა ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა ომის ძნელ და ომისშემდგომ წლებშიც და წარმოება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში. მაგრამ სისტემატური ხასიათი მან შეიძინა მას შემდეგ, რაც იგი სახელმწიფო ზრუნვის საგნად იქცა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან სპეციალურად შექმნილი მუდმივი კომისიის კომპეტენცია გახდა. ორსაბჭოს მეოთხედი საუკუნის მანძილზე კომისიის შემადგენლობა რამდენჯერმე განახლდა. მის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, აგრეთვე საზოგადო მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

მათი მეცადინეობით განხორციელდა ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმათა დანერგვის, ნორმატიული კრებულების, საცნობარო ლიტერატურის, ლექსიკონების გამოცემის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მაგრამ ახალი ეტაპი ამ მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს ზუსტ მეცნიერულ საფუძველზე, აკადემიის ინსტიტუტების მთელი კოლექტივების ღრმა და ყოველმხრივი კვლევის საფუძველზე, დადგა უკანასკნელი წლების მანძილზე. მიღებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი სპეციალური დადგენილებანი.

მათში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას რესპუბლიკის სასწავლებლებში, პრესაში, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში მის ნორმათა დამახინჯების ფაქტებს. პრესასა და ტელევიზიაში შემოღებულია სპეციალური რუბრიკები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და წესების დაცვის შესახებ.

დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკონების მომზადებასა და გამოცემას, მათ შორის მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკთათვის. მარტო განვლილ ხუთწლედში მკითხველმა მიიღო დაახლოებით 60 დასახელების ზოგადი, დარგობრივი, განმარტებითი, ფრაზეოლოგიური, ორენოვანი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სხვა საცნობარო ლიტერატურა.

დაისვა ქართული პუნქტუაციის ცნობარის, რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის უნიფიცირებული ნორმების გამოცემის საჭიროების საკითხი.

სხდომაზე ითქვა, რომ დამთავრდა მუშაობა და უკვე იბეჭდება „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელსაც მალე მიიღებს მკითხველი. ეს გამოცემა, რომელიც გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო მასებისათვის, დააკმაყოფილებს ქართულ საცნობარო ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებში, ატლასებსა და სხვა ნაბეჭდ გამოცემებში საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ერთიან დაწერილობას.

განხილეს და დამტკიცეს აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის ცალკეული ნორმები.

(საქინფორმი).

ნიკოლოზ ტიხონოვის გაკვეთილები

რუსი და ქართველი მწერლების სულიერი ნათესაობა იყო სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ნიკოლოზ ტიხონოვის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო საღამოს ლიტმოტივი. საღამო გაიმართა 5 დეკემბერს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. საუბილეო ზეიმი ორი მოძმე ხალხის კულტურათა ურღვევი მეგობრობის მკაფიო ილუსტრაციად იქცა.

აღიარებული სიტყვის ოსტატის პატივისცემისა და სიყვარულის გამოსახატავად მოვიდნენ ნიკოლოზ ტიხონოვის ნიჭის თაყვანისმცემელი, „მრგვალი მაგიდის“ მონაწილე საბჭოთა მწერლები, რომელსაც თბილისში აწყობენ ეურნალი „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირი და აგრომრეწვი.

საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ს. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე.

საღამოს გახსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა, კერძოდ, თქვა:

— ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ღირსშესანიშნავია ქართული ლიტერატურისათვის. აქ შევიკრიბეთ, რათა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენი გულწრფელი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი. და მართალია, იგი ჩვენთან ერთად აღარ არის, მისი ნიჭი, ადამიანური მიმზიდველობა, შექმნილი ნაწარმოებთა სიღრმე სამუდამოდ დარჩა ხალხის ხსოვნაში. პოეტი განაგრძობს სიცოცხლეს თავისი წიგნებით, მის ვაჟკაცობასა და სიბრძნეს დღესაც ესწავლობთ.

საუბილეო საღამოზე გამოვიდნენ ნიკოლოზ ტიხონოვის მეგობრები — პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, მწერალი-აკადემიკოსი გ. ჯაბაშიძე, პროფესორები თ. ბუაჩიძე, ი. ბოგომოლოვი, ა. ალექსიძე, მწერალი გ. მარგველაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, რომლებმაც ილაპარაკეს გამორჩენილი ოსტატის შემოქმედებაზე, რომლის ლექსებმა საქართველოზე, ქართული

(დასასრული 30-ე გვ.).

საქმეთ გამოაჩინა

ჩინეზული მეტრო-მუნიჯელი

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მიმდინარეობს ორი პარალელური გადასარბენი გვირაბის გაყვანა. სამუშაოთა დაჩქარებული შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტოლს არავის უდებს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გიორგი მესხი ხელმძღვანელობს. იგი 1960 წლიდან მუშაობს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე და ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია.

სურათზე: გ. მესხი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ბაიმართა

ენის სიწმინდისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმეა

საჯაროობა დემოკრატიის ფორმაა

პარტიული ცხოვრება: იდეოლოგიური მუშაობის ძმედითობა

ამ დღეებში რესპუბლიკაში დამთავრდა მოსახლეობის სოციალოგიური გამოკითხვა. იგი მოეწყო სახელწოდებით „დიალოგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან“. ეს ამგვარი კვლევის მოწყობის პირველი ცდა იყო რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის არსებობის ათი წლის მანძილზე. ვიძლეოდით სხვადასხვა კითხვებს, მათ შორის ასეთებს: „კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ცხოვრებით?“, „პირადი და საზოგადოებრივი ხასიათის რომელი პრობლემები გაწუხებთ?“, „როგორ აფასებთ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მუშაობას გარდაქმნისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, საჯაროობის გაფართოებისათვის, საზოგადოებრივი აზრის როლის გაძლიერებისათვის?“...

როგორც ყოველთვის, ანკეტის კითხვები ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ექსპერტთა ჯგუფთან, გამოცდილ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან ერთად განვიხილეთ, მოვეთათბირეთ პარტიისა და შრომის ვეტერანებს, რიგითს კომუნისტებს. არ დავიმალავთ, ზოგიერთმა ამხანაგმა ეჭვი გამოთქვა: „ზერხული ხომ არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტი იძლეოდეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა, მაგალითად, „კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ცხოვრებით?“ ერთიც ვნახოთ და, ვინმემ თქვას: კმაყოფილი არა ვართ? რა თქმა უნდა, შეიძლება ირონიულობა გამოვიჩინოთ ამის გამო, მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ეს ეჭვები შემთხვევითი არ არის, ისინი გამოწვეულია ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ტრადიციით — „შინაური“ თვითცენზურით, თავის დაზღვევით, ადამიანებთან ურთიერთობაში გულახდილობისა და ნდობისადმი ერთგვარი შიშით.

რა დასამალია, ეს შიში ჯერ კიდევ ალმოჩენებს, აფერხებს აზროვნების გარდაქმნის პროცესს. და თვით ახლაც კი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ, რომლებმაც ლენინური პრინციპულობის, საჯაროობის, გულახდილობისა და ალაბმრთლობის გაკვეთილები გვიჩვენეს. პარტიის კურსის ერთგულების ბრწყინვალე მაგალითი გახდა პარტიისა და მთავრობის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა უშუალო შეხვედრები და ურთიერთობა მშრომელთან, გულახდილი დიალოგი ადამიანებთან ქარხნების სამეჭროებში, საკოლმეურნეო მინდვრებში და სამეცნიერო დაწესებულებებში. ყოველივე ეს კვლავ კვლავ გვიკარნახებს უკუვაგდოთ მფრთხალი თავდაზღვევა, როცა საქმე საჯაროობას ეხება, დაუფარავად, გაბედულად და უშიშრად ვამხილოთ ფაქტები და მიზეზები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს და მანკიერებებს წარმოშობენ.

ზემოხსენებულმა დიალოგმა, როგორც მოველოდით კიდეც, საზოგადოებრიობის დიდი რეზონანსი და ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ბევრს შრომითს კოლექტივში გამოკითხვა ღია კრებად გადაიზარდა, იმ მწვავე პრობლემების საფუძვლიან და ყოველმხრივ განხილვად იქცა, რომლებიც აწუხებთ კომუნისტებს და ყველა მშრომელს. ამიტომ გადავწყვიტეთ ანალოგიური კვლევა ოლქების, ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით მოგვეწყო.

აი კიდევ ერთი ამ ცოტა ხნის წინანდელი მაგალითი. მიმდინარეობდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური თათბირი იმ საკითხზე, თუ რამდენად მზად არიან გარკვეული საწარმოები პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის. ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს და დარგის ხელმძღვანელების უმრავლესობა ფრიად ოპტიმისტურად განწყობილი აღმოჩნდა: რა სალაპარაკოა, მზად ვართ 1987 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მიღებაზე გადავიდეთო. და ამ დროს თათბირის პრეზიდიუმის მაგიდაზე გაჩნდა ზუსტად წინა დღით მოწყობილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის ექსპრეს-ინფორმაცია თემაზე — „მზად ვართ თუ არა პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის?“.

გამოკითხული იყო თბილისის იმ საწარმოთა 1600 მუშა, სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებიც სახელმწიფო მიღებაზე უნდა გადავიდნენ. თურმე, ფაქტობრივად საქმე არც ისე კარგად ყოფილა, როგორც თათბირის ბევრ მონაწილეს ეგონა. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მუშებისა და მოსამსახურეების თითქმის ნახევარმა ახალი მოთხოვნები „ზოგადად“ იცის, ინჟინერთა შორის კი ბევრს არ სწამს სახელმწიფო მიღების ეფექტიანობა. ასეთი განწყობილებით, როგორც იტყვიან, შორს ვერ წახვალ. ადამიანის ფაქტორის როლი ხომ პროდუქციის სახელმწიფო მიღების ორგანიზაციის პროცესში უჩვეულოდ დიდია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო სერიოზული კორექტივები შეეტანა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის მზადების საერთორესპუბლიკურ პროგრამაში.

ვინ არ იცის: საჯაროობა, პრინციპულობა, დემოკრატიზმი ერთი ჯაჭვის რგოლებია, და პარტია მიზნად გვისახავს განუხრელად განვაზორციელოთ ისინი პრაქტიკულად, ყოველდღიურ ცხოვრებაში. საქართველოში ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ. მაგალითად, ბევრი რამ ვისწავლეთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულების პროცესში. წარმატებით გამოიცადა იმ მწვავე და საჭირბოროტო საკითხის რეალიზაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც რესპუბლიკის პარტიული ორგანოების წინაშე დაისახა. მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სპეციალურ ბრძოლა გამოუცხადეს უშრომელ შემოსავალს, მექრთამეობას, პროტექციონიზმს, ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს, მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბოლოოდ უკუვაგდო ეგრეთ წოდებული „შერჩევითი საჯაროობა“. გაზეთების ოპერატიული ცნობების, კომენტარებისა თუ გადაცემების მეშვეობით წარმოდგენილია საკმაოდ სრული ინფორმაცია რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ამბების შესახებ, თვით ნებისმიერი ნეგატიური მოვლენების თაობაზე; ისინი მოსახლეობას აცნობენ, თუ რაოდენ მკაცრად მოეკითხათ ამა თუ იმ შეცდომისა და ხარვეზებისათვის ყველა რანგის ხელმძღვანელ მუშაკებს, როგორ მიმდინარეობს მექრთამეებისა და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების სასამართლო პროცესები. ამრიგად, ვაკმაყოფილებთ რა საზოგადოებრიობის ინტერესს და ვიმსახურებთ ნდობას, ჩვენ ამასთანავე ძირშივე აღვკვეთავთ ყოველგვარი ყალბი ხმებისა და მონაჩმახის გავრცელებას.

საგანგებოდ გვინდა მოვიხსენიოთ სატელევიზიო სტუდია „დიალოგი“. აი, უკვე რამდენი წელია, აქ გაცხოველებული აზრთა გაზიარება მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებზე, საერთო ძალებით ვეძებთ მათი გადაწყვეტის გზებს. ყოველ მოქალაქეს შეუძლია დარეკოს სტუდიაში, მისწეროს წერილი, გამოთქვას თავისი აზრი და მოსაზრება.

ავიღოთ, თუნდაც, „დიალოგის“ ერთ-ერთი ამასწინანდელი გადაცემა, რომელიც დანაშაულის პროფილაქტიკას მიეძღვნა. მას წინ უძღოდა რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში“ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრებისადმი, საქართველოს ეკკავშირის თავმჯდომარისადმი შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის ღია წერილის გამოქვეყნება, რომელიც პრინციპული ლაპარაკი იყო ამ დარგების ორგანიზაციებსა და საწარმოებში კორუფციისა და დატაცების ფაქტებზე. და აი, ტელემაყურებლები და თვით ტელეჟურნალისტებიც მიიწვიეს მსჯელი საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელ კომუნისტებთან მინისტრის შეხვედრაზე. აქ პირდაპირი, დაუფარავი, კონკრეტული და მაუჟერძოებელი საუბარი გაიმართა. ამავე დროს იგრძნობოდა საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესება: კონკრეტულად ითქვა, სად, ვის და რა დარღვევები აქვს, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სისტლისსამართლებრივ დანაშაულად გადაიზარდოს. თუ გამოხმაურებათა მიხედვით ვიმსჯელებთ, გადაცემამ, უდავოდ, აააღლვა, გარკვეული განწყობილება შეუქმნა საზოგადოებრივ აზრს, და ამას, ცხადია, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უნდა ითქვას, რომ ტელევიზია, რომელიც თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს იყენებს, ოპერატიულად და დიდად აქტიურად იჭრება დღეს საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. ამით ტელეპუბლიცისტიკა უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში, თავისებური შუამავლის ფუნქციებს კისრულობს მართვის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის. ჩვენში ჩვიდმეტჯერ მოეწყო მოსახლეობის „გერეთ წოდებული „ტელეშეკრებანი“, რომლებიც ყველაზე საჭირბოროტო, საზოგადოებისათვის საწუხარი პრობლემების გამო საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმების ხასიათს იძენს. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ გადაცემაში 15 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ეს ისინი არიან, ვინც წერილი გაგზავნა ან დარეკა სტუდიაში, მონაწილეობდა რეპორტაჟებში, საუბრებსა და ინტერვიუებში.

უნდა ითქვას, რომ ამ ტელეშეკრებებზე გამოთქმული მშრომელთა აზრები და რეკომენდაციები არაერთხელ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გამხდარა. მაგალითად, მათ საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცვლილებები შეიტანა რესპუბლიკის შესაბამის კანონმდებლობაში, კერძოდ, გაამკაცრა სისტლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებანი მანქანების გმტაცებლების, ნარკომანებისა და სხვათა მიმართ.

ყოველ ჯერზე თავისებურ საქალაქო რეფერენდუმად გადაიქცევა ხოლმე გაზეთების „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისის“ მიერ მოწყობილი რესპუბლიკის დედაქალაქის მოქალაქეთა ეგრეთ წოდებული დაუსწრებელი კრებები თბილისის საქალაქო აღმასკომის ხელმძღვანელთა მონაწილეობით. აქ განიხილავენ ხოლმე ისეთ საკიბოროტო საკითხებს, როგორიცაა საბინაო მშენებლობის ხარისხი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურება და ა. შ.

ფართო საჯაროობის, გულახდილობის, ალალმართლობის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის ატმოსფეროს დამკვიდრებას აქტიურად უწყობს ხელს პრესის პუბლიკაციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტების ანგარიშგება და პარტიულ დახასიათებათა დამტკიცება. ამასთან მასობრივი ინფორმაციის ყოველი ორგანო ცდილობს ეს თემატიკურად, თავისებურად გააკეთოს. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ უფრო ხშირად სამინისტროებისა და უწყებების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშგებას მიმართავს. იგი აქვე უკეთებს კომენტარს ანგარიშგებას, კონსტრუქციულად აკრიტიკებს ამა თუ იმ თანამდებობის პირის მუშაობის სტილსა და მეთოდებს. „ზარია ვოსტოკა“ მთავარ ყურადღებას უთმობს რიგითს კომუნისტებს, ცდილობს ნათლად განსაზღვროს მათი როლი და ადგილი გარდაქმნაში.

საინტერესო გამოცდილება აქვს საქინფორმაციო, რომელიც აქვიყენებს საუბრების დიდი სამეურნეო ქვეგანაყოფების ახლად დანიშნულ ხელმძღვანელებთან. ისინი მკითხველს მოუთხრობენ იმის შესახებ, თუ რა გზით აპირებენ დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებას. ამრიგად, ახალი ხელმძღვანელის მუშაობა პირველი ნაბიჯებიდანვე, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ მოექცევა: აბა დაგვპირდი? გაიკეთე კიდეც!

ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს იდეოლოგიურ მუშაობაში და საზოგადოებრივი პროცესების ანალიზში პრობლემები და გადაუწყვეტელი საკითხები აღარ გვქონდეს. ჩვენი აზრით, ძირითადი და უმთავრესი სინდრომი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია ერთგვარი ქარაფშუტული შეხედულება იდეოლოგიურ მუშაობაზე, როგორც საქმიანობის ისეთს სფეროზე, რომელსაც ნებისმიერი კაცი — დილეტანტი თუ არაპროფესიონალიც კი გაუძღვება. ასე რომ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ძირფესვიანი გარდაქმნა გვმართებს. იდეური, ზნეობრივი აღზრდის საქმეში ხომ დღემდე არცთუ იშვიათად ებმებიან შემთხვევითი, სტერეოტიპური აზროვნების მქონე ადამიანები, თავიზეკვეთები, რომლებიც მოძველებული მაბლონებით მოქმედებენ, ეშინათ „ზემოდან მითითების“ გარეშე რაიმე ინიციატივა გამოიჩინონ და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი მიიღონ.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში აზროვნების გარდაქმნა, საჯაროობა, ნებისმიერ საკითხზე ხალხთან პირდაპირი და პატიოსანი ლაპარაკი დროის მოთხოვნაა, სოციალური პროგრესის ქმედითი ბერკეტია, დემოკრატიზმის პირობებში მუშაობის სწავლის საუკეთესო საშუალებაა.

ნ. ფოფხაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

„პრავდა“, 1986 წ. 16/XII.

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული აზროვნება

ვიეტნამის კომუნისტთა V კრებისადმი

პანოი. 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვიეტნამელ კომუნისტთა ფორუმის მუშაობის მეორე დღეა. საქმიანად, დიდი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ვითარებაში დელეგატები — მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები განიხილავენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური პოლიტიკური მოხსენებას VI ყრილობისადმი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ხუთწლედის ძირითად მიმართულებებს.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. **ლიგაჩოვის** სიტყვას. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, თქვა მან, რომ ვიეტნამელ კომუნისტთა განახლების კურსი შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა ნოვატორულ სულისკვეთებას. საბჭოთა კომუნისტებს სწამთ, რომ რეალისტური გადაწყვეტანი, რომლებსაც თქვენ მიიღებთ, ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას გაიყვანს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე. ყრილობის მიერ დასახული სოციალიზმის მშენებლობისა და სამშობლოს დაცვის გეგმების განსახორციელებლად უნდა განმტკიცდეს კომუნისტთა დისციპლინა, პარტიული რიგების იდეური და ორგანიზატორული ერთიანობა, გაძლიერდეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი. ამის მნიშვნელობასა და საჭიროებას ადასტურებს როგორც ჩვენი, ისე თქვენი საკუთარი გამოცდილება.

მსოფლიო სოციალიზმი თავიანი განვითარებით ახლა ისეთ მიჯნას მიუახლოვდა, როცა კომუნისტურმა პარტიებმა რთული პრობლემები თვისებრივად ახლებურად, არასტანდარტულად უნდა გადაჭრან, მათ მოეთხოვებათ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სერიოზული გარდაქმნა და განახლება, რათა უფრო მეტი გასაჭირი მიეცეს სოციალისტური წყობილების კოლოსალური აღმშენებლობითი შესაძლებლობების გამოვლენას. ეს პრობლემები გაჰკვეთა სოციალიზმის ათი ქვეყნის მომძე პარტიების ხელმძღვანელთა მოსკოვში გამართული სამუშაო შეხვედრის ყოველმხრივი განხილვის საგანი. შეხვედრამ, რომელმაც დასაბამი მისცა ყოველმხრივი თანამშრომლობის შემობრუნებითს პუნქტს, გამოხატა მისი მონაწილეების მისწრაფება სრულად და თანამიმდევრულად განაზორციელონ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, განამტკიცონ მათი ერთიანობის საფუძვლები თითოეული პარტიისა და ქვეყნის ინიციატივის, აქტიურობის მაქსიმალური განვითარების პირობებში.

ჩვენს მთავარ ამოცანად მიგვაჩნია, რომ უფრო სრულად გამოვავლინოთ სოციალიზმის უდიდესი პოტენციალი. სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება სსრ კავშირში, სხვა მომძე სახელმწიფოებში განამტკიცებს მსოფლიოში რეალური სოციალიზმის ავტორიტეტს, გააძლიერებს მის მიმზიდველ ძალას, გამომაფხიზლებლად იმოქმედებს აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებზე.

ღრმა კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მრავალმხრივი ურთიერთობის მთელ კომპლექსს, რომელიც დამკვიდრებულია სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით, საფუძველად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მთავარი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ძმური კავშირი.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურღვევი მეგობრობის განუხრელი განმტკიცების თანამიმდევრული კურსი კვლავ გამოვლინდა ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ჩიონგ ტინის შეხვედრებზე 1986 წლის აგვისტოსა და ნოემბერში, რომლებმაც სრული ურთიერთგაგების, ძმობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა.

უმაღლესი დონის მორიგებანი დასაბამს აძლევს ჩვენი თანამოქმედების, მისი ეფექტიანობის უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მიმართულებით ეფექტიანობის ზრდის ახალ პერიოდს. ეკონომიკური თანამშრომლობა სულ უფრო მტკიცედ ემყარება რეალიზმის, განვითარების ახლანდელ ახალ ეტაპზე ვიეტნამის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების ნიადაგს.

ვიეტნამთან თანამშრომლობის განვითარება ყველა მომმე სოციალისტური ქვეყნის ინტერნაციონალური მოვალეობაა. მომმე პარტიათა ხელმძღვანელების მოსკოვის სამუშაო შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა შეიმუშაონ ვიეტნამის, მონღოლეთისა და კუბის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული სპეციალური პროგრამა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენს პარტიას, ყველაფერს ვიღონებთ, აქტიურად ვიმუშავებთ პროგრამის რეალიზაციისათვის.

საბჭოთა კავშირში, თქვა შემდეგ სკკპ დელეგაციის მეთაურმა, ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ ინ ამბავს, რომ ვიეტნამის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, სხვა მომმე ქვეყნებმა, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ მოიწონეს სკკპ XXVII ყრილობის წინადადება საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის შესახებ, საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღის არსებნალების ლიკვიდაცია და რომლებიც მიმართულია დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის წინადადებით გამართულმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრამ მკაფიოდ გამოავლინა, რომ არის რეალური შანსი დასაბამი მეიცეს მსოფლიო ბირთვული ხანძრის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლებას. ამავე დროს მან რელიეფურად გამოკვეთა ამ გზაზე მთავარი დაბრკოლებაც. მისი არსია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას, უფრო დამანგრეველი კოსმოსური შეიარაღების დაუფლებას, რათა შემდეგ თავისი ნება უკარნახოს მსოფლიოს ხალხებს, ჰყავდეს ისინი მორჩილებაში. ბირთვული გამოცდების საბჭოთა მორატორიუმს, რომელიც უკვე თითქმის, წელიწად-ნახევარია გრძელდება, ამერიკის ადმინისტრაცია ეხმაურება ნევადაში ბირთვული აფეთქებებით, ცდილობს დაამსხვრიოს ყოველივე ის დადებითი, რაც რეიკიავიკში გამოვლინდა, მოატყუოს, დაამნიოს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ამ კურსის, ამ მორალის როგორი კონტრასტი გახდა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ დელის დეკლარაცია, რომელსაც ახლახან ხელი მოაწერეს მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ. ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის დროს მიღწეული მორიგებანი თავიანთი მნიშვნელობით სცილდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ფარგლებს. მის გამოსვლებში კიდევ უფრო განვითარდა ვლადივოსტოკში წამოყენებული საბჭოთა პროგრამა , რომლის მიზანია მშვიდობისა და უშიშროების, თანამშრომლობის უზრუნველყოფა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, და რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა, მივესალმებით ვიეტნამის, ლაოსისა და კამბუჩიის გონივრულ და სამართლიან გეზს, რომლის მიზანია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებული პრობლემების კონსტრუქციული გადაჭრა, კამბუჩიის გამო შექმნილი ვითარების პოლიტიკური მოწესრიგება.

მოხსენება „ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ძირითადი მიმართულებანი გააკეთა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ვო ვან კიეტმა. განვლილ პერიოდში, აღნიშნა მან, ვიეტნამელმა ხალხმა საგრძნობ შედეგებს მიაღწია სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის, სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარების საქმეში. ცალკეულ საწარმოებში შეიქმნა და მკვიდრდება მეურნეობრიობის ახალი პროგრესული ფორმები, იზრდება კვალიფიციურ მუშაკთა რიცხვი, რომლებსაც კარგად წარმოუდგენიათ ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წინაშე მდგომი ამოცანები.

ამ დროს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში კვლავ მნიშვნელოვანი სიძნელეები და დისპროპორციებია. წარმოების ზრდის ტემპი ჯერჯერობით არ შეესაბამება რესპუბლიკის მოთხოვნილებებს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით ხუთწლიანი გეგმა არ შესრულებულა. პარტიას მოეთხოვება ეხელრგიული, მტკიცე ღონისძიებანი, გაგებული შემოქმედებითი მიდგომა დაგროვილი პრობლემების გადაჭრისადმი.

ვიეტნამი, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, კვლავაც მტკიცედ დაიცავს ფუძემდებელ მითითებას, რომ განუხრელად გაფართოოს ყოველმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან სხვადასხვა დარგში და მრავალფეროვანი ფორმით. ახალი იმპულსი მიეცემა რესპუბლიკის მონაწილეობას შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში.

ვიეტნამის კომუნისტთა ფორუმი მუშაობას განაგრძობს.



ლონდონი. „მოვითხოვთ სამუშაო ადგილებს!“, „შეწყდეს უმუშევრობის კოშმარი!“ — ასეთია ინგლისის დედაქალაქში მშრომელი საზოგადოებრიობის მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა მთავარი ლოზუნგები.

ეს დემონსტრაცია (სურათზე) მოწმობს ტორის მთავრობის უმოქმედობას, რომელიც არარად აგდებს მშრომელთა მოთხოვნებს — ენერგიული ღონისძიებები განახორციელოს უმუშევრობასთან სახრძოლველად, ამასადამ, ოფიციალური მონაცემებით, „ზედმეტ ადამიანთა“ რიცხვი 3,3 მილიონს შეადგენს, ხოლო სამუშაოს შოვნის არავითარი იმედი არ არის.

საკდესის ფოტო.

● ინგლისი

მეცნიერები ტოვებენ სამშობლოს

ლონდონი. „მე ვტოვებ ქვეყანას, ვინაიდან არ მაკმაყოფილებს საქმის ვითარება ჩვენს უნივერსიტეტებში და არ მინდა დარჩენილი სიცოცხლე ჩემი სამუშაო ადგილისათვის ბრძოლაში გავატარო“. ეს სიტყვები ეკუთვნის ქლოდ როუსნს, უორიკის უნივერსიტეტის ლიტერატურის პროფესორს. ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ეს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ერთადერთი მეცნიერი ჰუმანტარი როდია, რომელიც იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა და სამუშაოს საძებნელად ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულიყო.

„მოაზროვნეთა წასვლამ“ ოკეანის გაღმა დიდ ბრიტანეთში ბოლო ხანს შემაშფოთებელი მასშტაბი შეიძინა. 1981-1986 წლებში, გაზეთ „ობსერვერის“ მონაცემებით, მეცნიერები დაკარგა უნივერსიტეტების სულ ცოტა ყოველმა მესამე ინგლისური ლიტერატურის კათედრამ. ამასთან ბრისტოლის უნივერსიტეტი დატოვა ამ დარგის სპეციალისტთა მეოთხედმა.

ვენის შეხვედრაზე

მოითხოვენ ფორუმის მოწვევას

ვენა. აქ სრულიად ევროპის შეხვედრის პლენარულ სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებმა შეიტანეს ერთობლივი წინადადება პრაღაში ეკონომიკური ფორუმის მოწვევის შესახებ.

ამ ფორუმმა უნდა განიხილოს პერსპექტიული მიმართულებანი, ვაჭრობის, სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების ახალი შესაძლებლობანი და ფორმები.

ეკონომიკური ფორუმის წინადადებას მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის დელეგაციამ და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

● იაპონია

ნაცისტური მუნდირებით ტოკიოს ქუჩებში

ტოკიო. ისინი ქუჩებში დასეირნობენ სვასტიკიანი ქუდებით. ნიკაპის ქვეშ უბრწყინავთ „რკინის ჯვარი“, ხოლო რუხ და შავ მუნდირებზე დაბნეული აქვთ ნაცისტური დივიზიების ნიშნები, ორდენები და მედლები საფრანგეთსა თუ რუსეთში გამოჩენილი „გმირობისათვის“. ერთმანეთს მიესალმებიან მხოლოდ ამ სიტყვებით: „ჰაილ ჰიტლერ“, ხოლო დასვენების დროს მღერიან ნაცისტურ სიმღერებს „დოიჩლანდ, იუბერ ალეს“ ან „ჰორსტ ვესელ“. სამწუხაროდ, ესენი აჩრდილები კი არ არიან და მოქმედებაც ფაშისტურ გერმანიაში როდი მიმდინარეობს. ესენი არიან ლოყებაღაღლა და ჩასუქებული თანამედროვე იაპონელები, ოსაკაში ახლახან გახსნილი კლუბის „ერიკის“ წევრები.

ლუდის სარდაფის გარშემო, სადაც კლუბია განლაგებული, გაისმის ფაშისტური ჰიმნები და მარშები, დარბაზი მორთულია სვასტიკიანი და ჯვრიანი დროშებით. კლუბის სხდომებზე პროგრამის თვალია ჰიტლერელთა სხვადასხვა სამხედრო ნაწილის „მოდების“ ჩვენება. „ერიკაში“ ყველაზე დიდი პატივით სარგებლობენ ნამდვილი ან მეძველმანისაგან შეძენილი ესესელისა თუ ვერმახტის ოფიცრის ფორმის მფლობელები. ყოველივე იმისადმი თავვანისცემას, რაც ჰიტლერულ გერმანიასთან არის დაკავშირებული, ისინი თავიანთ პატარა „ჰობის“ უწოდებენ.

ჯერჯერობით მხოლოდ ეს სამასი კაცი ბედავს იაპონიის ქუჩებში თავი მოიწონოს ნაცისტური მუნდირებით, მაგრამ ადგილობრივი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების ასიათასობით წევრი, რომლებსაც გულის ჯიბეზე ჯვარი არა აქვთ, ქადაგებს ფაშისტურ იდეებს. იგივე დროშები მოჩანს და იგივე მუსიკა გაისმის იმათი ჯავშნიანი ავტობუსებიდან, ვინც ტერორს უწევს პროგრესულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს . მათგან ზოგიერთი ნაცისტთა ბუტაფორულ ფორმასთან შედარებით უპირატესობას აძლევს დუშმანთა ხალათებს, რომ დაემსგავსონ დაქირავებულ ბანდიტებს, რომლებიც სისხლიან დანაშაულს სჩადიან ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შრომა და კაპიტალი

დროით ნაცადი მეგობრობა

ავღანეთის პრესა ნაჯიბის ვიზიტის შესახებ

**ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნაჯიბის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი სსრ კავშირში, აღნიშნულია ბახთარის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, ახალი ნაბიჯია ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობის განმტკიცების გზაზე, საბჭოთა კავშირსა, როგორც ნამდვილმა მეგობარმა, დახმარების ხელი გაუწოდა ავღანეთს ძნელბედობის ჟამს. მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებმა, ხაზგასმით აღნიშნავს საინფორმაციო სააგენტო, კვლავ ცხადყო, რომ მხარეები ესწრაფვიან ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლი

ПРОФКАВШИРУЛИ ЦХОВРЕБА: СЛАНგАРიშო-СААРХЕВნო КОНფЕРენციებზე

მსოფლიო ეკონომიკური ფასეულობა

მასშტაბური

მიმოხილვა

მიმოხილვებსა და მომავლის გეგმებზე პირფთვნელად და პირისეულად იმსჯელა ამ დღეებში გამართულმა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის პირველმა რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელმაც ცხადყო, რომ პროფკავშირის კომიტეტები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ პროფკავშირის წინაშე მდგომი ორი ერთარსი ამოცანის შესასრულებლად: ერთი მხრივ, იბრძოდნენ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და წარმოების ზრდისათვის მშრომელთა მობილიზაციისათვის, ხოლო მეორე მხრივ, დღეგიადაგ ზრუნავდნენ მშრომელთა კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის, მათი უსაფთხო შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

როგორია სამეურნეო შედეგები? უამინდობის მიუხედავად, მეთერთმეტე ხუთწლეულდან ძირითადი საოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები, გარდა ყურძნისა, გადაჭარბებით შესრულდა. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მთლიანი პროდუქციის წარმოების მიხედვით რესპუბლიკამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის მოწინავე რეგიონთა შორის.

საანგარიშო პერიოდში (1982–1986 წ.) არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებელი მრეწველობის მუშაკები გარჯილან ურიგოდ — ხორცის, რძის, ჩაის და საკონსერვო საწარმოებმა გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, გამოუშვეს 21 მილიარდი მანეთის პროდუქცია. კარგად იშრომეს აგრეთვე რესპუბლიკის მელიორატორებმა — 1981–1985 წლებში ათვისებულია 684 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. გეგმის გადამეტებით შესრულებულია 14 მილიონი მანეთის სიიჯარო და 10 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგიც იყო, რომ მეთერთმეტე ხუთწლეულში ჩვენი რესპუბლიკა ოთხჯერ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ხუთწლედის შედეგებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამამარჯვეს და გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, ბოგდანოვკის, გურჯაანის, გარდაბნის, მახარაძის, ხობის, ჩხოროწყუს და ცხაკაიას რაიონები, 21 კოლმეურნეობა, 16 საბჭოთა მეურნეობა და სხვა სახელმწიფო საწარმო.

საანგარიშო პერიოდში აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი დეგიზი კვლავ იყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა. პროფკავშირის კომიტეტები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობას და, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც უმჯობესდება ჩაის, ხილის, ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხი.

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური შეჯიბრება ორგანიზაციაში. მაგრამ არ შეიძლება თვალი მოვუხუჯოთ არსებულ ნაკლოვანებებსაც. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ჯერ ვერ მოხერხდა მიგვეღწია სრული საჯაროობისათვის, ყველა შრომითი კოლექტივის სათანადო გაკეთილშობილებისათვის, იმ სიახლისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, რომელიც ახლა ჩნდება სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში“. ეს შენიშვნა მთლიანად და სავსებით ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტებს, ვინაიდან რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ხეირიანად არ არის მოწყობილი შეჯიბრება მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის, ფორმალიზმია ფესვგადგმული მომიჯნავე საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. მებოსტნეობის, მეხილეობისა და მევენახეობის რეგიონებში ყველგან არ მომქმედებს კონვეიერი „მეურნეობა, ტრანსპორტი, მაღაზია!“ „მეურნეობა, ტრანსპორტი, სოფლისერვო ქარხანა!“, „მეურნეობა, ტრანსპორტი, ღვინის ქარხანა!“ და სხვა.

სამწუხაროდ, აგროსამრეწველო კომპლექსის ზოგიერთ უბანზე ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომლებსაც სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პროფკავშირის კომიტეტის საქმე ჰგონიათ და თვითონ განზე დგომას ამჯობინებენ. მაგალითად, მარნეულის რაიონის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. მამედოვმა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა საკვებმომპოვებელთა შორის ბრძანებით (!) დაავალა პროფკავშირის კომიტეტს, მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის კი შეჯიბრების ორგანიზაციაში მონაწილეობა ზედმეტად მიიჩნია. დასანანია, რომ ასეთი ხელმძღვანელები საკმაოდ არიან რესპუბლიკაში.

არც ისაა დასამალი, რომ ჯერ კიდევ ბოგინობს ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმის — შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მიძრაობის ორგანიზაციაში. ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოში და სამშენებლო ორგანიზაციაში კომუნისტური შრომის დამკვრელების მხლოდ სიები აქვს, ხოლო თუ რა მაჩვენებლებს ხელწვეისათვის მიანიეს მათ ეს საპატიო წოდება, საამისო საბუთები არ გააჩნიათ.

საანგარიშო პერიოდში თანამიმდევრული ღონისძიებები ხორციელდებოდა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი პროგრესული ფორმების დასანერგად. პროფკავშირის კომიტეტები ყველაფერს ღონობდნენ კოლექტიური, საოჯახო და პირადი იჯარის ფართო გავრცელებისათვის, აქტიურად მონაწილეობდნენ კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებისა და რგოლების ტიპური ხელშეკრულებისა და რეკომენდაციების შემუშავებისა და ფორმირებაში. დღესდღეობით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებში კოლექტიური იჯარით 6 635 ბრიგადად და რგოლი მუშაობს. ეს კი საერთო რაოდენობის 47,8 პროცენტია. კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადები და რგოლები კარგ სამეურნეო მაჩვენებლებს აღწევენ ჭორჯანის, დმანისის, ჩხოროწყუს, ქობულეთის, გარდაბნის, ლანჩხუთის, გალისა და ზოგიერთი სხვა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ რაიონში აგროსამრეწველო კომპლექსი გაერთიანებები და პროფკავშირის რაიკომები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ კოლექტიური იჯარის მნიშვნელობას წარმოების ეფექტიანობის გზრდაში, ნაკლებად ზრუნავენ ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის. ამ მხრივ არადამკმაყოფილებელი მდგომარეობაა ადიგენის, ბოლნისის, ვანის, ახალციხის, ახალციხის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ქარელის, მარნეულის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც საუკეთესო პირობებია კოლექტიური იჯარის დასანერგად, 118 საწარმოო ბრიგადიდან ამ მეთოდით მხოლოდ 13 ბრიგადა და რგოლი მუშაობდა, რაც საერთო რაოდენობის 10,9 პროცენტს შეადგენს. აქ ანგარიშგასაწევია სხვა გარემოებაც: ზოგიერთ მეურნეობაში უგანრიგო ბრიგადები ჰაიჰარად ჩამოაყალიბეს, დაარღვიეს ბრიგადაში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი; პრემიასა და შრომის ანაზღაურების წესის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღეს ბრიგადის წევრთა წინადადებები და შენიშვნები, არ მოამზადეს მატერიალური საშუალებებით, არ დაიცვეს ბრიგადების სიდიდის ოპტიმალური პირობები და სხვა. ამიტომ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ასე ნაძალადევად შეკოწიწებული ბრიგადები დაიშალა, ხოლო შრომის ორგანიზაციის ამ საუკეთესო ფორმას სახელი გაუტეხეს.

აშკარა შეშფოთებას იწვევს ის, რომ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა შეუუნარჩუნებლად ელი ტემპით ინერგება აგროსამრეწველო სამრეწველო საწარმოებში, სადაც დღეისათვის ამ მეთოდით მუშაობაზე გადასულია ბრიგადების მხლოდ და მხლოდ 15-20 პროცენტი.

პროფკავშირის კომიტეტებმა სამეურნეო ორგანოებთან ერთად ყველაფერი უნდა იღონონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური საიჯარო ფორმების საყოველთაო დანერგვისათვის იმ ვარაუდით, რომ 1987 წელს დამთავრდეს მთელი სისტემის საწარმოთა გადაყვანა კოლექტიურ იჯარაზე, ხოლო იმ მეურნეობებში, სადაც არ არსებობს სათანადო პირობები კოლექტიური იჯარისათვის, უთუოდ დანერგოს საოჯახო ან პირადი იჯარა.

საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის მთავარ დამსახურებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან ნათელი მოჰფინა ერთ გარემოებას: დღეს ვიწროუწყებრივი მიდგომით და ლოკალური მოქმედებით ფონს ვასვლა შეუძლებელია, და თუ აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს სურთ ხელშესახებ წარმატებებს მიაღწიონ ახალ ხუთწლედში, ყველაფერი — დაგეგმვა, კოორდინირება, შეთანხმება, მოქმედება — მხოლოდ მასშტაბური უნდა იყოს.

კონფერენციას ესწრებოდა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ნიკიტინი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ა. ჭითანავამ.**

ჯ. მეხრიშვილი.

მოვლენის ფონ

პროგლემები, რომლებიც ყველას აწუხებს

— **თითქოს**, რა უნდა იყოს საერთო ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის მომართულებასა და სოფლის მეურნეობას შორის? — ასე დაიწყო საუბარი ქანფორმის კორესპონდენტთან ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა, მწერალმა იური კალეშუკმა. — მიუხედავად ამისა, კავშირი არის, თანაც უშუალო. სოფლის მეურნეობის პრობლემები, ისევე როგორც, სხვათა შორის, ეკონომიკის, მისი გარდაქმნის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, დღეს ერთნაირად აღელვებს ყველას. და სავსებით გასაგები ხდება ის ინტერესი სასოფლო-სამეურნეო თემატიკისადმი, რომელსაც იჩენენ მწერლები, ჟურნალისტები: -ისინი ხომ დღევანდელობის ყველაზე მთავარი მოვლენების, სოფლად მიმდინარე გარდაქმნების შუაგულში ტრიალებენ.

ი. კალეშუკი, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მკითხველისათვის თავისი მოთხრობებით, ნაწარმოებებით, პრობლემურ-ანალიზური სტატიებით ტიუმენის მეცნავთობეთა შესახებ, კოლეგებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, რათა უფრო ახლოს გაეცნოს მის მფავალდარგოვან სოფლის მეურნეობას, რესპუბლიკის სახაგრამრეწვის მუშაობის პრაქტიკას. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ საქართველო თავის დროზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფის სათავეებთან იდგა. აქ, ისევე როგორც ესტონეთში, ქვეყნის სხვა მხარეებსა და ოლქებში, იშვა პირველი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი, რომლებიც ახლა მთელ ქვეყანაში გავრცელდა.

—მაგრამ, — თქვა შემდეგ ი. კალეშუკმა, — ეკსპერიმენტების დრო წავიდა. დროა აგრომრეწვმა თავისი თავი კონკრეტული საქმეები წარმოაჩინოს. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არის მრავალი გადაუჭრელი პრობლემა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება უწყებრივ დაქსაქსულობას, რომელსაც ჯერ კიდევ ვხვდებით. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ეს და სხვა საჭირობოროტო საკითხები იქნება „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა ყურადღების ცენტრში, რომელსაც ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვი“ აწყობს საქართველოს სახაგრომრეწვთან ერთად. შეხვედრა მიიზიდავს ბევრ დაინტერესებულ პირს — მწერლებს, ჟურნალისტებს, აგრარიკოს მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, წარმოების მოწინავეებს.

„მრგვალ მაგიდასთან“ მოწვეული არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ჩერნიჩენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე გ. ლისიჩკინი, ჟურნალ „ნოვი მირის“ პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე ა. სტრელიანი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სპეციალური კორესპონდენტი ე. ბუდინასი, მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული მათი კოლეგები. საქართველოს წარმოადგენენ ცნობილი პროზაიკოსი მწერლები ჯ. ამირეჯიბი, გ. ფანჯიკიძე და სხვები.

— ჩვენი ჟურნალი პირველად როდი აწყობს შეხვედრას „მრგვალ მაგიდასთან“ — თქვა დასასრულ ი. კალეშუკმა მას როგორც წესი, საქმიანი პრინციპული ხასიათი აქვს ხოლმე. პოლემიკაში, მწვავე საკითხების მიუჩქმალავად, ვლინდება ამა თუ იმ პრობლემის ყველა მხარე. სწორედ ასეთი იყო შეხვედრები პოლტავაში, სადაც საუბარი მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის ისეთ მტკივნეულ პრობლემაზე, როგორიც არის, მაგალითად, მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემა. ბრეესში დიალოგი გვქონდა მსხვილი მეხორცეობა-მერძეობის კომპლექსების მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ. სხვათა შორის, ზოგიერთი ჩვენი კოლეგა, ამ შეხვედრაზე რომ მოდიოდა, საბჭოთა მეცხოველეობაში ამგვარი მიმართულების მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ ადგილზე უფრო დეტალური გაცნობის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს კომპლექსებიც, თუ სწორად იქნება საქმე დაყენებული, ამინდს ქმნიან სოფლის მეურნეობაში.

ერთი სიტყვით, ამგვარი კონტაქტები მნიშვნელოვანი და საჭირო. აგრარიკოსთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა, ჟურნალისტთა და მწერალთა, ფართო საზოგადოებრიობის მჭიდრო თანამოქმედით ბევრი დღის ფილ ყველა აქტუალური პრობლემა, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა.

რ. ახპატელოვი,
გ. პონნენი.
(საქინფორმის კორ.).

ნიკოლოზ ტიხონოვის გაკვეთილები

(დასასრული)

პოეზიის მისეულმა თარგმანებმა პოეტს მკითხველის დიდი სიყვარული მოუპოვეს. მას სამართლიანად უწოდებენ საქართველოში ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე მომღერალს.

გულშეჩამწვდომად გაისმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, საქართველოს დიდი მეგობრის, შესანიშნავი უკრაინელი პოეტის ვ. ლოროტიჩის გამოსვლა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს ძმობის ფრთაშეშსმსმელი სიხარულისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ნიკოლოზ ტიხონოვის შემოქმედების წარუვალ მნიშვნელობაზე ილაპარაკა საღამოზე ცნობილმა რუსმა პოეტმა ა. მეჭიროვმა, რომელმაც წაიკითხა ნიკოლოზ ტიხონოვის საქართველოსადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი.

საღამოს შთამბეჭდავ დამამბოლოებელ აკორდად იქცა ქართული სიმღერა „მრავალჟამიერი“. მისმა მელოდიამ თითქოსდა სიმბოლურად გამოხატა ნიკოლოზ ტიხონოვის პოეტური სიტყვის უკვდავება.

(საქინფორმი).

ROOMOOD ITHILISI KVAL?

„მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“ ფერილის გამო

ბაზეთ „კომუნისტში“ ამა წლის 12 ნოემბერს გამოქვეყნდა ემოციურად ჭარბად დამუხტული წერილი „მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“, სადაც დაკვირვებული მკითხველი ამოიცნობდა პრობლემების რიგს, რომლებიც თან სდევს თბილისის ზრდა-განვითარებას, რადგან წერილში მოყვანილი ზოგიერთი ამაღელვებელი ფაქტი კერძო მოვლენა არ გახლავთ და მათ მიღმა გარკვეული ტენდენციებია. უფრო მეტიც, ქალაქის სტრუქტურა რთული და მრავალფეროვანია, მისი ელემენტები ჯაჭვად არიან გადაბმული და ერთი რგოლის წარმოჩენას მეორე მოყვანს, მეორეს — მესამე... ამდენად წერილის ავტორები იმ საკითხებზეც ჩაგვფიქრებენ, რომლებიც ზოგჯერ გაკვრით არის მოხსენიებული, სხვანი კი ნაგულისხმევია. და კიდევ: ქალაქის ბედ-იღბალს, მის ზრდასა და გარდაქმნას განსაზღვრავენ მრავალი დარგის სპეციალისტები (კომნომისტები, სოციოლოგები, მშენებლები, გეოლოგები, ეკონომისტები, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვა დარგების მუშაკები), და არა მარტო ქალაქმშენებელი არქიტექტორები, რომელთაც წერილის ავტორები, ცოტა არ იყოს გაუგებარი ირონიით, „ბენეგეზმისტებს“ უწოდებენ. ცხადია, ამ პროცესში მონაწილეობენ ქალაქის თავკაცები და, სამწუხაროდ, ნებელობაც იმ პირებისა, რომელთაც, ხსენებული სტატია რომ მოვიმარჯვოთ, „თანამდებობრივი სტატუსი და სავარძელი“ აქვთ.

სწორედ ამგვარი წინდაუხედავი „ნებელობის“ შედეგი უნდა იყოს რუსთაველის პროსპექტზე მხრებგაშლილი ჭადრის ამოძირკვის ფაქტი, რომელმაც აღაშფოთა როგორც არქიტექტორები, ასევე ყველა მკვიდრი თბილისელი, რომელთათვისაც სათაყვანებელი თბილისის სახეცვალებას ბევრი სიხარული და ზოგჯერ კი გაუბუზმელი ტკივილიც მოაქვს ხოლმე გაუმართლებელი დანაკარგის გამო. წერილის ავტორები მართებულად აღნიშნავენ, რომ ხეს, ესთეტიკურის გარდა, თავისებური „ქალაქმშენებლური“ ფუნქციაც ეკისრა. იგი არა მარტო „კეტავდა“ მოედანს, არამედ ხაზავდა უსაზღვრო პროსპექტისათვის დამახასიათებელ ელასტიკურ დინებას, როდესაც რბილი მოხვევების ხარჯზე იცვლება აღქმის არე და რაკურსები. ახლა კი პროსპექტი ამ მონაკვეთზე ლარივით გასწორებულია. ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პროსპექტი „ზარია ვოსტოკას“ და ტელეგრაფის შენობებთან მთავრდება და შემდეგ კი რაღაც სხვა ქუჩა იწყება. საერთოდ, დამაფიქრებელია პროსპექტის ბედ-იღბალი. ერთ დროს იგი გამოკვეთილი „კომუნიკაბელობით“ გამოირჩეოდა და თბილისელების სეირნობის, კონტაქტების ადგილს წარმოადგენდა. დღეს კი პროსპექტი სტრანსპორტო არტერიად ვაქციეთ, მოქალაქენი მიწისქვეშა გადასასვლელებში ჩავიყვანეთ, ზედაპირი კი მთლიანად ტრანსპორტს დავუთმეთ. დაიკარგა პროსპექტის მიმზიდველობა და მკვეთრად გამოვლენილი სოზოგადოებრივი ცენტრის დანიშნულება. თბილისის არაერთი გენერალური გეგმა გულისხმობდა პარალელური არტერიების ეგრეთწოდებული „დუბლიორების“ შექმნას პროსპექტის გამშვილი მოძრაობისგან გამოთავისუფლების მიზნით, მაგრამ ეს განზრახვა ჯერჯერობით ქაღალდზე დადატანილ ჩანაფიქრად რჩება. საერთოდ, რუსთაველის პროსპექტის ბედი ცალკე სამსჯელო თემაა, ვინაიდან აქ არაერთ მტკივნეულ პრობლემას წაკაწყდებით. რაც შეეხება ამოძირკვულ ჭადრის, მიუტევებელი შეცდომის გამოსწორება შეიძლება, და ეს უპრიანიც არის, მით უმეტეს, რომ ჩვენს საეკალიოლტებს აქვთ მოზრდილი ხეების გადარგვის გამოცდილება.

ჭადრის ამოძირკვის სამწუხარო ფაქტმა საერთოდ თბილისის გამწვანებისადმი დამოკიდებულების ტენდენცია წარმოაჩინა. თუ თბილისს შევადარებთ რიგას, ვილნიუსს, კიევს, ვორონეჟს და სხვა მრავალ ქალაქს, დავრწმუნდებით, რომ გამწვანების თვალსაზრისით ჩვენ მეტად ღარიბნი ვართ. საქმე მარტო ის როდია, რომ ამ ქალაქებში ერთ სულზე რამდენჯერმე მეტი გამწვანებული ფართობი მოდის, ვიდრე ჩვენთან. ისიც სათქმელია რომ თბილისში მცირეა დიდი მწვანე მასივების რაოდენობა როგორც ძველ, ისევე ახალ რაიონებში, შემაშფოთებელია, რომ დღეს ერთ თბილისელზე 5,6 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგაობა მოდის, მაშინ, როდესაც ამ დროისთვის 15 მეტრს, ხოლო 2000 წლისათვის 24 კვადრატულ მეტრს ვგეგმავდით. ჩვენ არათუ არ გაგვხარდეთ მწვანე ნარგაევების ფართობი, არამედ შევამცირეთ კიდეც. თხუთმეტი წლის მანძილზე ერთ სულზე მოსული გამწვანების ფართობი 6,1-დან 5,6 კვადრატულ მეტრამდე შემცირდა. ქალაქის გამწვანებას ზოგჯერ საბჭოფფსულო კამპანიად აქცევენ ხოლმე და გვიპატაკებენ, ამდენი და ამდენი ხე თუ ბუჩქი დავრგეთო. მაგრამ გამწვანების პრობლემა მხოლოდ ეუბნების გასწვრივ ხეების ჯარისკაცებივით დამწკრივებით არ ამოიწურება, იგი წინასწარ გაანგარებული, ქალაქმშენებლურად დასაბუთებული პროექტის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. სამწუხაროდ, ხშირად ცალკეული უბნის, რაიონის თუ სახლების ჯგუფის გამწვანების პროექტი პროექტად რჩება და არქიტექტორის ჩანაფიქრი ლამაზად შეღებილ ფიცარს არ სცილდება. მაგალითად, თაკის დროზე საბურთალოს მასივი გათვალისწინებული იყო ვრცელი პარკის მშენებლობა. ჩვენ კი, როგორც ჩანს, დაგვენარ ტერიტორია და ზოგიერთის ნებელობის გამო მასზე შენობები წამოვეშვიეთ. ამიტომ საბურთალოს დააკლდა გეგმით (დამტკიცებული გეგმით) გათვალისწინებული გამწვანება, რომელიც მნიშვნელოვნად გააჯანსაღებდა რაიონს, შექმნიდა მშრომელთა ხანმოკლე დასვენების ადგილს და რაიონის მხატვრულ სახესაც გაამდიდრებდა.

ახალ მშენებლობას ვინღა დაეძებს, როდესაც არსებულსაც უდიერად ვეპყრობით. ოცდაათიან წლებში ყოფილ მადათოვის კუნძულზე (ჩოგბურთის კორტებთან), მტკვრის ტოტის დაშრობის შემდეგ ბაღი გაშენდა, როგორც თანდათან შევავიწროვეთ, გამეჩხერდა პუშკინის სკვერი ლენინის მოედანზე, ასევე შევიწროვდა კიროვის ბაღი, სოლოლაკში ცნობილ „სტელას“ ბაღში შენობა ჩავდგეთ და უახლოეს ხანში შემორჩენილ მცირე ნაკვეთსაც განადგურება ელოდება, რადგან შენობა გაფორთოვებას მოითხოვს, ლერმონტოვის ქუჩაზე მცირე მწვანე კუნძულღა შემორჩა, რომელზეც სასტუმროს აშენებას ცდილობენ, ორჯონიკიძის სახელობის ბაღში (რომელსაც პრეტენზიულად „პარკს“ ვუწოდებთ) არცთუ ისე ძნელია ხეების დათვლა, ანდა რაღა დარჩა პლეხანოვის პროსპექტის ბაღწვრივ მდებარე, ერთ დროს ხალხმრავალი ბაღებისაგან... წარმოდგენილი, რომ იმ მცირეთაგანაც, რაც ამ უბანს მაინც შემორჩა, კიდევ მეტი შევიწროვება ელის, რადგან ზოგიერთი უწყება ქალაქის ინტერესს არაფრად მიიჩნევს და ყველაფერს ილონებს ხოლმე მაინცდამაინც ქალაქის ცენტრში, თუნდაც ბამწვანების ხარჯზე, ააშენოს სპორტული დარბაზი თუ სხვა ნაგებობა. ასე მოუვიდა, მაგალითად, პლეხანოვის № 150-ში მდებარე საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს — თბილისის ობსერვატორიის შვეინერ ბაღს, სადაც ასობით ხე-ბუჩქი ამოძირკვეს და ეს ადგილი უზარმაზარ სამშენებლო მოედნად აქციეს. არცთუ დიდი ხნის წინათ, სამწუხაროდ, დაინგრა და გაიწმინდა ყოფილი რიყის უბანი. სამწუხაროდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ რიყის განაშენიანება მეტად კოლორიტული იყო და მისი რეკონსტრუქცია თბილისს კიდევ ერთ ეშხით სავსე უბანს შესძენდა. სახლები კი ისეთი სისწრაფით და გულმოდგინებით მოვსპეთ, რომ ვერც კი მოვასწარით მათი ანზომვა-ფიქსაცია, ფოტოგრაფირება, ჩახატვაც კი. ჩვენი საზოგადოებრიობა მომხდარი ფაქტის ტრურულ რეჟიმსა და განიავებაზე. თუკი არსებულ ნორმატივებს მოვიშველიებთ, აღმოჩნდება, რომ თბილისში **ერთადერთი** პარკია — „გამარჯვების პარკი“, რომელიც შეესაბამება პარკებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. „მთაწმინდის“ პარკი რელიეფის მაღალ ნიშნულზე განლაგების გამო თბილისის მიკროკლიმატზე მეტად უმნიშვნელო გაკეთენას ახდენს და, თანაც, ქალაქის ცალკეული რაიონებიდან მთაწმინდაზე ასვლა დიდ დროს მოითხოვს და მას ვერ მივაკუთვნებთ მოქალაქეთა ხანმოკლე დასვენების ადგილს, რაც ქალაქური პარკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებათაგანია. „გამარჯვების პარკი“ 50-იან წლებში გაშენდა. მას შემდეგ თბილისი მკვეთრად გაიზარდა, ჩვენ კი პარკების მშენებლობის თავი მივანებეთ. კიდევ კარგი, რომ მოვასწარით „გამარჯვების პარკის“ მშენებლობა. საშვილიშვილო საქმე გაკეთდა! დარწმუნებული ვარ, რომ ცოტაც რომ დაგვეყოვნა, ეს ულამაზესი ადგილი დღეს ჩვენი უსახური ტიპობრივი სახლებით იქნებოდა ჩახერგილი. სპეციალისტების გამოანგარიშებით, დღეს თბილისში საპარკო ტერიტორიის დეფიციტი (ნორმებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით) ათას ჰექტარს შეადგენს!. ვერ ვიტყვით, რომ თბილისის გამწვანების საკითხი ქალაქის თუ რესპუბლიკის თავკაცების ყურადღების გარეშე რჩებოდა. მიღებულ იქნა არაერთი დადგენილება. „თბილისქალაქპროექტმა“ შეიმუშავა თბილისის გამწვანების პროექტი, რომლის განხორციელება ნავარაუდევი იყო 1981–1985 წლებში, მაგრამ ქალაქს 805 ჰექტარის ნაცვლად მწვანე ფართობის მხოლოდ 165 ჰექტარი მოემატა. მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა და მას ამწვავებს ტერიტორიების ნაკლებობა, რის გამოც დღეს პარკების მშენებლობა თბილისში მეტად პრობლემურად შეკავებას და მასთან მიკედლებულ ზონაში მოქცეულ იმ მცირე ქალაქების განვითარებას (ყაზოეთის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, კასპის და ა. შ.), სადაც ინეინერული დაგეგმარებითი პირობებით მოხერხებული სამშენებლო ბაქნები არსებობს. მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? თბილისის გენერალური გეგმა 2000 წლისათვის თვალისწინებდა მოსახლეობის ზრდას 1.250.000-მდე. ამ რიცხვს ქალაქის მოსახლეობამ თითქმის უკვე მიაღწია. შემდგომში წამოიჭრა ჰიპოთეზა, რომ ჩვენს დედაქალაქში საუკუნის დამლევს 1.500.000 კაცი იქნება, თუმცა ბოლო დროს ზოგიერთმა სპეციალისტმა 1.320.000 იწინასწარმეტყველა. მგონია, რომ თუკი მრეწველობის ადრე გაუთვალისწინებელი ზრდის ტენდენცია შემორჩა, მილიონნახევრიანი ქალაქის პროგნოზირება რეალობასთან უფრო ახლო ჩანს.

ქალაქი ორი გზით იზრდება: ბუნებრივი და მექანიკური ნამატით. ბუნებრივი ნამატი თბილისში დაბადებულ მოქალაქეებს გულისხმობს, ხოლო მექანიკური — სხვა რაიონებიდან გადმოსახლებულთ. ღმერთმა ინებოს, რომ ბუნებრივი ნამატი მნიშვნელოვნად სჭარბობდეს მექანიკურს, მაგრამ ვაი, რომ ეს ასე არ არის... მექანიკური ზრდას ძირითადად მრეწველობის განვითარება განსაზღვრავს, რასაც სპეციალისტები „ქალაქმშენებელი ფაქტორს“ უწოდებენ, და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მომქმედი გენერალური გეგმა რესპუბლიკის მთავრობამ 1970 წლის 27 აგვისტოს დაამტკიცა და მას კანონის ძალა მიენიჭა. გეგმა არ ვარაუდობდა მრეწველობის მკვეთრ ზრდას. ეს გადაწყვეტილება პირველ ყოვლისა იიხსნება თბილისის შემდგომი ზრდის შეზღუდვით. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ქალაქებში ტიპობრივი სახლებით განაშენიანებული ახალი მიკრორაიონების გაჩენა.

რით ხსნიან დიღმის ველის არჩევანს გასაშენებლად? პირველ ყოვლისა, ვრცელი, განაშენიანებისგან თავისუფალი ტერიტორიის არსებობით, რომელიც უშუალოდ ემიჯნება თბილისს, და ქალაქთან დამაკავშირებელი მაგისტრალის (საქართველოს სამხედრო გზის) არსებობით. რამდენად დამაჯერებელია დიღმის ველზე დიდი დასახლების გარდაუვალობა? ცხადია, რომ „დიდი დიღმის“ (არსებითად, 200-ათასიანი ქალაქის) მშენებლობა მიტად გაართულებს ისედაც დაძაბულ ქალაქთმშენებლურ-დაგეგმარებითს სიტუაციას, მით უმეტეს, რომ როდესაც დასახლების მშენებლობა დასრულდება, ალბათ, საქართველოს სამხედრო გზის ეს მონაკვეთი ვეღარ მოერევა ტრანსპორტის ნაკადებს და ახალი პრობლემები წამოიჭრება. „დიდი დიღმი“ უშუალოდ მიადგება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სავარგულებს და დღეს ვინ დაიფიცებს, რომ ქალაქი აქ გაჩერდება და ამ სავარგულებს არ წალეკავს? არადა, რაღას ვუტოვებთ მომავალ თაობებს, თუკი ყველა რეზერვი ამოვწურეთ, იმ იმედით ვართ, რომ იმათ უკეთესი ეკონომიური და

„კომუნისტი"
საკრებული
საქინფორმი

ახალი ამბები

▼▼

„სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შეუძლიათ შეუთანხმენენ ერთმანეთს და აღარ იცხოვრონ მუდმივი შიშით ომის წინაშე", — მოსწერა კალიფორნიელმა (აშშ) მოსწავლემ ები დორმანმა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ინტერკლუბის წევრებს.

უცხოელი მეგობრების წერილების, ფოტოსურათებისა და ნახატების სქელ დასტებს, ტრანსფარანტებსა და პლაკატებს, ბავშვთა ნახელავ სხვა სუვენირებს სათუთად ინახავენ ინტერკლუბელები.

„მოდით, ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის!" — კლუბის ეს დევიზი კიდევ ერთხელ გაისმა ამასწინანდელ შეხვედრაზე, რომელიც აქ გაუმართეს ნორჩ ამერიკელ ასტრონავტებსა და „სამანტა სმიტის" კლუბის წევრებს.

▼▼

შემოქმედებითი წლის შედეგებს აჯამებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც 15 დეკემბერს გაიხსნა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მშვიდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი დათვალიერების პროგრამა მოიცავს მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრის ნაწარმოებებს. პირველ კონცერტზე საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა საქართველოს სახალხო არტისტის სულხან ცინცაძის მეხუთე სიმფონია „რემინისცენციები", ახალგაზრდა კომპოზიტორის რუბენ კაკიღლოტის სიმფონია და კომპოზიტორ ედუარდ სანაძის „კონცერტი საყვირისა და ორკესტრისათვის". სოლო საყვირით შეასრულა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მიხეილ ბონდარევსკიმ.

ოთხი დღის მანძილზე კონსერვატორიის დარბაზებში აღლერდება სიმფონიები, კამერულ-ვოკალური სასინსტრუმენტო ნაწარმოებები, რომელთა ავტორები არიან არა მარტო უკვე ცნობილი მუსიკოსები, არამედ ახალგაზრდა კომპოზიტორებიც.

▼▼

თბილისის მანქანათსამშენებელი ტექნიკუმის მოსწავლეებს სამხატვრო ხელსაწყოების მაგივრობას ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა უწევს. აქ გაიხსნა დისპეტჩერის კლასი, რომელიც ერთდროულად ათი მოსწავლისათვის არის განკუთვნილი.

ახალთახალ „ისკრებზე" სამრეწველო რობოტებისა და რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხების გამართვა-ექსპლოატაციის მომავალი სპეციალისტები ითვისებენ თავიანთი პროფესიის ანბანს — სწავლობენ მანქანის ენას, ვარჯიშობენ პროგრამების შედგენაში.

მაღე დისპეტჩერის კლასს ახალი მოწყობილობა შეემატება. აქ შეიქმნება დიალოგ-გამოთვლითი კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს მალაღკვალიფიციური კადრების მომზადებას რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის საწარმოებისათვის.

▼▼

ქუთაისში გაიხსნა მემახტეთა სპეციალური ტანსაცმლის ატელიე. ახალი ობიექტი მოემსახურება არა მარტო „საქქვანახშირის" საწარმოო გაერთიანების მაღაროელებს, არამედ მათ დონბასელ კოლეგებსაც. ამასთან, ხელმარჯვე ოსტატები შეასრულებენ მეშახტეთა ინდივიდუალურ შეკვეთებს.

„კომუნისტი"
ჩვენი მისამართი
და ტელეფონები
380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეებს — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრაპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 98-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

ოზურგეთი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-09; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 3-26-36; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-32.

აქტიურობა მადლია კაცისა

ცოცხალი მემატიანე

რვეულის გახუნებულ ფურცელზე არაბულად დაწერილი ტექსტი მომიტანეს, რომელიც თვითმარქვია მოლას, როგორც ნუსხა, ავადმყოფისათვის დაეტოვებინა. ერგელი ნური თავდგირიძე წაიკითხავსო, მითხრეს. ხელვაჩაურის რაიონში არის ასეთი სოფელი...

ოთხმოც წელს გადაცილებულმა მოხუცმა ასაკისათვის შეუფერებელი სიმარდით ჩამოათავა კიბე და ეზოში შემომეგება. მისკენ მიზეზი ავუხსენი. დახედა ფურცელს და სტუმართმოყვარე მასპინძლის გულისხმიერებით შინ შემიპატიჟა. მეორე სართულზე ოთახის კარი შეაღო და... უცნაურ მუზეუმში მოვხვდი. კედლებიდან, თაროებიდან ჩვენი ქვეყნის ისტორია გადმომყურებდა. ლენინის, გორკის, სტალინის მინიატიურული ბიუსტები, სამოქალაქო და სამამულო ომის სურათები, უნიკალური წიგნები. კარადა სქელტანიანი საქადაღლიებით იყო სავსე, კედლის ერთი მხარე ქართველ კლასიკოსებს ეჭირათ.

მასპინძელმა სკამი შემომთავაზა. ფერე ტექსტს დახედა. შალე ჩაათავა ნისი კითხვა, ეტყობოდა, ნაცნობი ტექსტი იყო. არაბული ასობით დაწერილი ლოცვაო, მითხრა.

მივხვდი, ჩემ წინ საინტერესო კაცი იყო. საუბარში შევყევით, წარსული გამოკითხე. კარადიდან საქადაღლეებები გადმოიღო. ჩემ თვალწინ გადაიშალა აჭარის მთიანეთის ქარაშხლიანი პერიოდი.

გასული საუკუნის ბოლოს დაბადებულა ნური თავდგირიძე შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთში. მამამისს ჰუსეინს განათლება თურქეთში მიუღია. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ჰუსეინი აქტიურად მონაწილეობდა დედასამშობლოსათვის აჭარის დასაბრუნებლად ბრძოლაში.

მაშინდელ აჭარაში ხელისუფლება, სწავლა-განათლება მოლა-ხოჯების ხელში იყო. ქართული წიგნის პროპაგანდას მოსახლეობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ნური იგონებს, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თბილისიდან მაშინდელ ხულოს მაზრაში მასწავლებლად მოავლინა ვინმე თოთიბაძე. ნურის მისგან უსწავლია ქართული წერა-კითხვა. ეამთა სვლისაგან გაყვიანებული ფურცლები მოგვითხრობს, როგორ ეხმარებოდნენ შემდგომ პერიოდში ნური და მამამისი მთიან აჭარაში სამუშაოდ გაგზავნილ მასწავლებლებსა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს.

ქართული სკოლების გახსნით დაიწყო მთაში კულტურული რევოლუცია. აი, რას წერს მოგვიანებით საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ვარდო ბაღდავაძე: „1923 წელს განათლების კომისარიატმა ხულოს რაიონის სოფელ უჩამბაში გამგზავნა მასწავლებლად. ჩემზე ადრე იქ გაეგზავნათ ნიკოლაშვილი, მაგრამ მოლა-ხოჯებს მისთვის ბრძოლა დაეწყოთ და ისიც გაქცეულიყო. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნური თავდგირიძემ კი ძალზე კარგად მიგვიღო, მან სკოლისათვის ბინა გამოგვიყო. საერთოდ, იგი ახალი ცხოვრების დამკვიდრებისთვის მთელი ენერგიით იღვწოდა, ეწეოდა ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოსახლეობაში და ა. შ.".

იმ მძიმე პერიოდში ეროვნულ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შენიღბული მტრები პოზიციებს არ თმობდნენ, აშკარად თუ ფარულად, სიტყვით თუ იარაღით ებრძოდნენ. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს სათავეში ედგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე. ნური ამ საზოგადოების აქტიური წევრი იყო და სხვებთან ერთად იბრძოდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1921 წელს აჭარის რევოლუციურმა კომიტეტმა იგი ხულოს საგანგებო რაზმის უფროსის პოადგილედ დანიშნა. იმავე წლის ოქტომბერში მოიწყო ფუბარა (ოარიბი) ხალხის კომიტეტის არჩევნები. კომიტეტის თავმჯდომარედ ჰაიდარ ხიმშიაშვილი აირჩიეს, კომიტეტის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ჰუსეინ თავდგირიძე შეიყვანეს. მდივნობა ნური თავდგირიძეს მიანდეს. 1922 წლიდან ხულოში პირველი კომკავშირული უჯრედი ჩამოყალიბდა. პირველი კომკავშირელები ოსმან კეკელიძე, ნური თავდგირიძე და ხულეს მუკუტაძე გახდნენ.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაიჩნდებისო... — პოეტს უთქვამს. ასე დაიჩნდა ნურის მეხსიერებას ის ტრაგიკული დრო, როდესაც ახალი ცხოვრება გზას იკაფავდა, მაგრამ ძველი ეგრე იოლად არ თმობდა პოზიციებს. იყო მკვლელობა, დაშინება, ტერორი. ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი რამდენი კაცი შეეწირა ბრძოლას. უიარაღოდ სახლიდან ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა.

გამობდა ხანი. უკან დარჩა ძნელბედობა, ხალხი ახალმშენებლობას შეუდგა. მოხდა ისე, რომ ძველი მტრები ხშირად მერეც ხანდაზმულობისასაც აღარ აძლევდნენ ხოლმე მოსვენებას. ცდილობდნენ მისი დამსახურებისათვის ჩრდილი მიეყენებინათ. მაგრამ ვისაც ის დრო ახსოვს აჭარაში, ახსოვს ნური თავდგირიძეც და მისი დამსახურებაც. აი, რას წერს რევოლუციონერი, 1917 წლიდან პარტიის წევრი ალვასი თალაკვაძე: „პარტიის დავალებით 1924 წელს გავემგზავრე ხულოში. ქალთა შორის უნდა გაგვეშალა მუშაობა, ბავშვები სკოლაში მიგვეგზიდა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ნური თავდგირიძემ". პარტიის ვეტერანი მ. ჯიბლაძე: „1937 წლიდან 1948 წლამდე ვმუშაობდი ხულოში. პარტიის ხულოს რაიკომის მიერ დადგენილებით ნური თავდგირიძე 1943 წელს არჩეული იქნა სოფელ ჯაბნიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ჯაბნიძეების კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო. მოკლე დროში თავდგირიძემ ისე გარდაქმნა მუშაობა, რომ სოფელი გახდა ერთი-ერთი მოწინავე. სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით ეხმარებოდა ფრონტელთა ოჯახებს. სატანკო კოლონის მშენებლობისათვის მან თავისი დანაზოგიდან შეიტანა 18 ათასი მანეთი".

დრო-ეამისაგან გაყვითლებული საარქივო მასალები იმ ღვაწლზე მოგვითხრობს, რომელიც ნური თავდგირიძეს გაუწევია მთის გაზაფხულის დამკვიდრებისათვის.

კიდევ ერთი დოკუმენტი: ზემო აჭარის ქმაწვილების და არა მარტო მათი, სულიერი სამყარო რელიგიურ ატმოსფეროში ყალიბდებოდა. თვით ნურიმაც მიიღო სასულიერო განათლება, მიკრძალა [illegible] ლიტერატურა [illegible] ბეჭდვა. ნურის შვილიშვილებს ინახავენ ალარ [illegible] საკუთარი თავისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ნურის ოჯახში 8 უმაღლესი განათლების მქონეა. მისი შვილები, შვილიშვილები ყველაზე საპატიო სამქმეს, უმაწვილთა აღზრდას ემსახურებიან.

ხანდაზმულობის მიუხედავად, ნური მხნედ გრძნობს თავს: საკრძალიანმა ნაკვეთში ფიზიკურად მრომობს. არც ქალაქს ივიწყებს, მუზეუმების ხშირი სტუმარია. ხან შემომივლის, თავის თავზე, აჭარის წარსულზე მიამბობს, ისე ხატოვნად გააცოცხლებს ხოლმე იმ მფოთიანი დღეების სიმწვავეს, მიკვირს, როგორ შემოინახა მოხუცის მეხსიერებამ ასე წარუშლელად ყოველივე ეს.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

პაატა გურჭულაძე მარია კალასის პრემიის laureate

საქართველოს სახალხო არტისტს პაატა ბურჭულაძეს, რომელიც ამ დღეებში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა ცნობილი „ლა სკალას" სცენაზე ვერდის ოპერა „ნაბუკოში", რამდენიმე დღით მილანის დატოვება მოუწია. ქართველი მომღერალი გაფრინდა მიუნხენში, სადაც მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავებთან ერთად მიიწვიეს გამოჩენილი ბერძენი მომღერლის მარია კალასის ხსოვნისადმი მიძღვნილ კალამში მონაწილეობისათვის. ახლანდელ დათვალიერებაზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, დაწესდა მისი სახელობის პრემია. ამ პრემიის პირველი ლაურეატი, დიპლომისა და მედლის მფლობელი გახდა პაატა ბურჭულაძე. ეს კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა ვოკალისტისა, რომელიც, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, „მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბანია".

იტალიელები აღტაცებით შეხვდნენ ახალ ლაურეატს, რომელმაც განაგრძო სპექტაკლ „ნაბუკოში" ზაქარიას პარტიის შესრულება. ქვეყნის პრესას მიმავალი წლის უნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენად მიაჩნია მილანის სცენაზე ამ ოპერის დადგმა და მასში ქართველი მომღერლის მონაწილეობა, რომელიც სპექტაკლის მშვენებაა. პაატამ, კრიტიკის აზრით, მოაჯადოვა „ლა სკალას" მომთხოვნი აუდიტორია დახვეწილი ხელოვნებით, პროფესიონალიზმითა და არტისტიზმით, სახის წვდომის უნარით. მშვენიერ, ამაღლებულ ხელოვნებას აზიარა მსმენელები საბჭოთა კულტურის წარგზავნილმა, ვერდის უკვდავ მუსიკასთან შეხვედრის სიხარული განაცდევინა მათ.

1987 წელს პაატა ბურჭულაძე გენუაში შეხვდება, სადაც გიამრთობა ბოიტოს ოპერის „მეფისტოფელის" პრემიერა, რომელიც თავის დროზე სპეციალურად თ. შალიაპინისათვის დაიწერა. ამ სპექტაკლში ქართველი მსახიობი წამყვან პარტიას შეასრულებს. თებერვალში იგი შეხვდება ლენინგრადელებს. სსრ კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი ბორის პოკროვსკი კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე დგამს მუსორგსკის „ბორის გოდუნოვს", რომელშიც მთავარ პარტიას პაატა ბურჭულაძე იმღერებს. ამ პარტიას მარტში იგი შეასრულებს ფილადელფიაში (ამერიკის შეერთებული შტატები), ოპერას უდირიორებს ცნობილი მუსიკოსი ლორინ მააზელი. შემდეგ მას ელის ახალი შეხვედრა მოცარტის „დონ ჟუანთან" ზალცბურგში, სადაც მიიწვია თანამედროვეობის გამოჩენილმა დირიჟორმა ჰერბერტ ფონ კარაიანმა.

თბილისელთა წინაშე მომღერალი გამოვა თებერვალში: თავის დაბადების დღეს, 12 თებერვალს, იგი ვერდის „დონ კარლოსის" პრემიერაში მეფე ფილიპეს პარტიას შეასრულებს.

და კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: ლონდონში გამოვიდა წიგნი „ბრავო", რომლის ავტორია ბერძენი მუსიკათმცოდნე ჰელენ მატეოპოულოსი. ამ ვრცელ გამოცემაში განხილულია მსოფლიო ვოკალიტის სკოლის 22 ვარსკვლავის შემოქმედება. მათ შორისაა საბჭოთა მომღერალი პაატა ბურჭულაძე, რომლის რეპერტუარში შედის ვერდის ოპერების ბანის ყველა პარტია.

(საქინფორმი).

ხელოვანი და დრო

ცნობილმა მომღერალმა, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ნათელა მკერვალიძემ თავისი სასიმღერო კარიერა კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ დუეტში მოღვაწეობით დაიწყო.

თბილისელები მაშინ არ იყვნენ განებივრებულნი საესტრადო სიმღერებით. ამ დროს გამოჩნდნენ ქართული საესტრადო სიმღერების ცალკეული შემსრულებლებიც, ერთ-ერთი ასეთი ეთერ გვაზავასა და ციცინო ციცქიშვილის დუეტი იყო.

ვისაც მათი კონცერტები ახსოვთ, დაგვიდასტურებს, რომ ამ ორ შესანიშნავ მომღერალს მუდამ სიყვარულითა და სითბოთი ხვდებოდა მსმენელი. სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა ეთერ გვაზავა, და დუეტიც დაიშალა...

ს. მირიანაშვილი და ც. ციცქიშვილი დიდხანს ეძებდნენ ეთერის ხმის შესაფერ შემცვლელს, და აი, ერთ დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმაისტერმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რ. გლეზერმა ც. ციცქიშვილს ახალგაზრდა მომღერალი ნათელა მკერვალიძე გააცნო. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი.

დაიწყო რეპეტიციები, და მალე დუეტი შესანიშნავად შეერწყა ერთმანეთს. მათთვის ს. მირიანაშვილმა საგანგებოდ დაწერა რამდენიმე ახალი სიმღერა. მომღერლებმა ზედმიწევნით შეიგრძნეს კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი ღრმად ეროვნული, უაღრესად მელოდიური, თავისთავადი სტილი და წარმატებებსაც აღწევდნენ.

...ნათელა მკერვალიძის ბავშვობამ ყუბანში გაიარა. თავიდანვე იტაცებდა სიმღერა, ამიტომაც იყო, რომ 1956 წელს საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად იგი შედის თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ვოკალურ განყოფილებაზე პედაგოგ მ. დოკუდოვსკაიას კლასში. საინტერესოა, რომ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მომავალი მომღერალი მუშაობას იწყებს წარმოებაში. თუმცა კონსერვატორიაზე მაინც ოცნებობს, ხშირად ესწრება საოპერო სპექტაკლებს.

მალე ნათელა მკერვალიძემ ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებაზე. შრომისმოყვარე ქალიშვილი კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, იქ ხვდება ციცინო ციცქიშვილს...

ამ დუეტმა ასობით კონცერტი გამართა როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

დუეტისათვის დიდხანს დაუცდია ინ ქენი ბაღი. 1964 წელს ამ ქვეყნის უდიდესი ქალაქების საკონცერტო დარბაზებში მომღერლებმა დიდი

კვლავაც მრავალჯერ...

წარმატებით შეასრულეს საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების სიმღერები. მათ წარმატებებს პრესაც აღნიშნავდა. ასევე წარმატებით მოიარა დუეტმა კუბა, 1967 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტებთან ერთად შუშანიასა და ზოთა კიკნაძესთან ერთად — ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ფეხბედნიერი გამოდგა ნათელა მკერვალიძისათვის 1967 წელი. ქართული და საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. ორი წლის შემდეგ კი ნათელამ დაამთავრა კონსერვატორია და ჩაირიცხა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. დადგა დებიუტის დღეც. აფიშები იუწყებოდნენ, რომ მაროს პარტიას „დაისში" შეასრულებდა ნათელა მკერვალიძე. დებიუტს კარგად გამოეხმაურა პრესა.

1972 წელს თბილისის საოპერო თეატრმა ნ. ლისენკოს „ტარას ბულბა" დადგა. ოპერაში მარიკას ერთ-ერთ მთავარ პარტიას ასრულებდა ნათელა მკერვალიძე. მსმენელმა მჭუხარე ტაშით დაუჯილდოვა ახალგაზრდა მომღერალი. „როგორც ვოკალურად, ისე სცენურად ბრწყინვალედ შეასრულა მარიკას პარტია საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ნათელა მკერვალიძემ", აღნიშნავდა უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პონომარენკო.

იმავე წელს თეატრმა დადგა ს. ციცკაძის ოპერა „განდეგილი", რომელშიც მწყემსი ქალის პარტია ნათელამ შეასრულა. სასიამოვნო ტემბრით მომღერალმა გადმოგვცა მწყემსი ქალის განცდები.

მას აქეთ მომღერალმა შეასრულა ბევრი საოპერო პარტია. მაროს გვერდში ამოუდგა ზ. ფალიაშვილისავე ეთერი („აბესალომ და ეთერი"), მზია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია"), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"), ელა (რ. ლაღიძის „ელა"), იოლანტა და ტატიანა (ჩაიკოვსკის „იოლანტა" და „ევგენი ონეგინი"), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა") და ა. შ.

1978 წელს მომღერალს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ნ. მკერვალიძის საგასტროლო მოღვაწეობაც. მან წარმატებით იმღერა თავის დროზე „აიდაში" ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ამნერისის პარტიას ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ელენე ობრაზცოვა. ორივე მომღერალს ლენინგრადელებმა დიდი ოვაციები გაუმართეს.

წარმატება ხვდა მომღერალს ნოვოსიბირსკის საოპერო თეატრის სცენაზეც „აიდასა" და „ტოსკაში". ხელოვნებათმცოდნე ქუკოვი წერდა: „იგი ფლობს შესრულების მაღალ კულტურას. მისი ხმა მსუბუქი და გამჭვირვალეა, რომელიც მომღერალს შესაძლებლობას აძლევს ჩასწვდეს გმირის შინაგან ბუნებას. მან თავისი დიდი ტემპერამენტი პარტნიორებსაც კი გადასდო.

წინ ახალი შემოქმედებითი გეგმებია, და ჩვენც მხოლოდ მიღწევებს ველით ნიჭიერი მომღერლისაგან.

თამარ გომართელი.

მხოლოდ კაკები!

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდაში, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების II საკავშირო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა უჩვეულო კონკურსი „აბა თქვენ იცით, პაპებო!" კონკურსში მონაწილეობდნენ სახალხო მთქმელები, სოოჯახო ანსამბლები და ფოლკლორული ჯგუფები, ეთნოგრაფიული ანსამბლების „ნართაასი", „აბეუასა" და „ერცახუს" მომღერლები და მოცეკვავეები. დღეგრძელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენოსნობაში, შუბის ტყორცნაში, „ალაბაში" (წვერწამახული ჯოხის ტყორცნა), დოღში.

კირუნა და რუსთავი — დაძმობილებული ქალაქები

ჩვენი 1700-კილომეტრიანი „საჰაერო ოდისეა" შვიდოდიანად დასრულდა. უკვე სტოკჰოლმში ვართ!

...სტოკჰოლმში ჩვენს საელჩოს ერთი ძველებური ლამაზი ნაგებობა უკავია. თვალს ახარებს ნაირგვარი ყვავილებით მორთული კოპწია ეზო.

ჭიშკრიდან გვეგებებიან საელჩოს წარმომადგენლები.

ჩვენი ავტობუსი სტოკჰოლმის ქუჩებს მიუყვება. ენაწყლიანი გიდი ხალისით გვაცნობს „ჩრდილოეთის ვენეციის" (როგორც სტოკჰოლმს უწოდებენ) ღირსშესანიშნაობებს. და, მართლაც, ქალაქის სამხრეთ უბანში გადანაცვლებისას პირადად რწმუნდები ამ შედარების ერთგვარ ჭეშმარიტებაში.

ჩინებული, თითქმის ჩვენებური ამინდი იდგა და ჩვენც ქალაქის თვალიერებას დავეშურეთ. და უცებ... კინაღამ შინ არ გვეგონა თავი! ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიასთან ვეებერთელა მაწვნის ქილაზე ჩვენებური მოხუცები აღებენ!

„ინებეთ მაწონი, თუ გსურთ ოცდამეერთე საუკუნე იხილოთ!" — ურჩევდა რეკლამა დღეგრძელობის მოსურნეთ.

შეპყურებ გერბიან, ძველებურ სახლებს, მხედართმთავართა ბრინჯაოს ქანდაკებებს, მეფის სასახლეს, რატუშის განთქმულ შენობას და უნებლიეთ საუკუნეების სიღრმეში ინთქმები. სხვათა შორის, გდმა გვითხრა, თანამედროვე არქიტექტურით გატაცებამ ბევრი ღირსშესანიშნავი ნაგებობა შეიწირა, მაგრამ, საბედნიეროდ, მალეევ მოეგენ გონს და ახლა ძველ შენობებს თვალისჩინივით უფრთხილდებიანო.

ისტორიული ძეგლები ქვეყნის ეკონომიკურ სამსახურში დგას. მილიონობით უცხოელი სტუმარი ათვალიერებს მათ.

სტოკჰოლმის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა კოლ მილესის მუზეუმი და მისი სახელგანთქმული ბაღი. ამ ღარიბი ხელოსნის შვილმა არაერთი შედევრით გამდიდრა ეროვნული ხელოვნება. ამიტომაც ამაყობენ შვედები თავიანთი დიდი თანამემამულით.

...შვეიცია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში გულთბილად მიგვიღეს. კართან ამ საზოგადოების მდივანი, ქართველი ხალხისა და რუსთაველთა მეგობარი გუნარ რისკი და მისი მეუღლე — ამავე საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკი ულანო რასკი შეგვეგებნენ. თვით ამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ქალბატონი ევა პალმარი შეუძლოდ ყოფილა, და თავად რასკმა გადმოგვცა მისი გულთბილი მისალმება და კეთილი სურვილები.

გუნარ რასკი ამ რამდენიმე თვის წინათ ეწვია საბჭოთა კავშირს, შემდეგ რუსთავიც მოინახულა. მანვე გვიამბო, შვეიცარიაში პერიოდულად საბჭოთა რესპუბლიკების დღეები ეწყობა და 1988 წელს შვედები (უკვე მეორედ) გაეცნობიან საბჭოთა საქართველოს, მის ისტორიასა და დღევანდელობას, ქართველი ხალხის კულტურასა და ხელოვნებას, რომლის მიმართაც ასე დიდ დაინტერესებას იჩენენო...

...დილის ათ საათზე რატუშას სპილენძით მოჭედილ მძიმე ჭიშკართან სტოკჰოლმის კომუნის ერთ-ერთი თანამშრომელი შემოგვეგება და რატუშა დაგვათვალიერებინა.

სტოკჰოლმის კომუნის თავმჯდომარე, ქალაქის მერი ბატონი ლოოფ ლენარტი — ეს საშუალო სიმაღლის, სანდომიანი, კეთილად მომღიმარე კაცი თავისი კაბინეტის კარებთან შემოგვეგება. მიღება უშუალო და სტუმართმოყვარული იყო. სადღეგრძელოში მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის შვეციისათვისაც დიდი სიკეთე მოაქვს, და შვედი ხალხი დიდ იმედებს ამყარებს საბჭოთა თავვრობის სამშვიდობო პოლიტიკაზეო.

...დილის 11 საათია, კვლავ თვითმფრინავში ვართ, ოღონდ ამჯერად შვედების სამგზავრო ლაინერში. კირუნაში მიფრინავთ — რუსთავთან დაძმობილებულ ქალაქში. ქვემოთ კვლავ ფირუზის თვლებივით ციაგებენ დიდი თუ პატარა ტბები. შვეციაში 7 ათასამდე ტბაა, და თითოეული თავისებურ ეგზოტიკას მატებს ამ ქვეყნის ისედაც უზადო ბუნებას.

თავად კირუნა პოლარული ქალაქია, რაც თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე საცნაური გახდა ჩვენთვის.

ქალაქის მერი გუნარ პეტერსონი, რომელიც მოსაცდელში გველოდა, ღიმილით გვეკითხება: სად არის თქვენი მცხუნვარე მზე, მეგობნა, ერთ-ორ „კონა" სხივს ჩვენც გვიწილადებდითო.

დილაადრიან გავეშურეთ ადგილობრივი საბადოების დასათვალიერებლად. ქალაქის დასავლეთით აღმართული მთები ქვაქოროს დაუფარავს (აქ წინათ რკინის მადანს ღია წესით მოიპოვებდნენ).

ყირუნელ მადანმომპოვებელთა წინაშე რთული პრობლემა დგას: რაც უფრო ღრმად მოიპოვებენ მადნეულს მიწის წიაღში, მით უფრო ძვირდება მისი თვითღირებულება, საერთაშორისო ბაზარზე მოხმარება კი პირიქით — მცირდება. ამ რამდენიმე წლის წინათ მაღაროში ხუთი ათასი კაცი შრომობდა, ახლა კი ორი ათასამდე მუშაობს. მუშახელის ამგვარმა დენადობამ გარკვეული გავლენა იქონია ქალაქის ეკონომიკაზე, რაც ახალი სამრეწველო პოტენციალით უნდა ანაზღაურდეს. შენდება სპილენძის გადასამუშავებელი ქარხანა, ამზადებენ მაღაროთა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელსაც საზღვარგარეთ ყიდიან. კოსმოსური ცენტრის სიახლოვეც დიდ პერსპექტივას უსახავს...

...რატუშის ჩუქურთმებიან მუხის მძიმე ჭიშკართან შემოგვეგებნენ ქალაქის მერის მოადგილეს ესლინგი, კომუნის აღმასრულებელი კომისიების ხელმძღვანელები, დეპუტატები და საზოგადო მოღვაწენი. ცენტრალურ დარბაზში მოწყობილია ხალხური შემოქმედების მუდმივი გამოფენა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, და... რუსთაველ მხატვართა ნამუშევრები.

ჯაჯა-ფშაველა, ფიროსმანი, მშობლიური პერსონაჟები... ადგილი წარმოსადგენია ჩვენი სახარული, ყოველივე ამის ხილვამ რომ განგაცდევინა.

და აი, კვლავ სტოკჰოლმს მივემგზავრებით. მასპინძლებმა გულთბილი გაცილება მოგვიწყეს.

...ორი დღე დავყოვნთ სტოკჰოლმში. დავთვალიერეთ ხელოვნების მუზეუმი, მეფის სასახლე, ლუდის ქარხანა, სხვა ღირსშესანიშნაობები. ეი ის ადგილიც, სადაც ასე ვერაგულად მოკლეს მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლი, შვედი ხალხის საყვარელი შვილი, პრეზიდენტი ულმა პალმა. აქაც და პრეზიდენტის საფლავზეც, რომელიც აქვე, ეკლესიის ეზოშია, ულეველად არის ცოცხალი ვარდ-ყვავილები, არა და არ წყდება ხალხის ნაკადი...

ჩვენ კვლავ და კვლავ ვეესაუბრებოდით შვედ მეგობრებს იმ კულტურულ ურთიერთობებზე, ჩვენს ხალხებს რომ აკავშირებთ, იმაზე, რომ ქართველი ბავშვების საყვარელი მწერალია ასტრიდ ლინდგრენი, რომ ქართულად თარგმნილი მისი წიგნის („ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი") მიხედვით შესანიშნავი სპექტაკლი დაიდგა რუსთავის თოჯინების თეატრში, რომ ჩვენთვის ასევე ახლობელია სხვა შვედი მწერლები, მსახიობები და ხელოვნების მოღვაწენი. არც მასპინძლები დაგვრჩენიან ვალში, დაგვარწმუნეს, რომ მეტ-ნაკლებად კარგად იცნობენ ჩვენს კულტურასა და ხელოვნებას, იციან რუსთაველი, ფიროსმანი...

გამომგზავრების წინ, დილით, ჩვენმა მეგობარმა ლარისა ბერგმანმა მოგვაკითხა და შვეციი-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სახელით გულთბილი მადლობა გადაგვიხადა. ლარისა წარმოშობით ლენინგრადელი ყოფილა, შვედ მუსიკოსს გაჰყოლია ცო